186
1979

ეროვნული
ბიბლიოთეკა

27

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1

იანვარი — თებერვალი

1979 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 იანვარი—თებერვალი 1979 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და კადრების შენარჩუნების შესახებ.
2. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ.
3. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 აპრილის № 224 დადგენილების მე-4 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
4. აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5. იმ დოკუმენტების ნუსხის დამტების შესახებ, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე.
6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
7. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 824 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ.

9. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.

11. „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აპრილის № 207 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

13. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანების შესახებ.

14. საქართველოს სსრ მებაღეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნის შესახებ.

15. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ფუნქციების გაფართოებისა და სტრუქტურის ცვლილების შესახებ.

16. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ.

17. „სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების მე-18 პუნქტის მოქმედების თევზის მეურნეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებზე (ორგანიზაციებზე) გავრცელების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ცნობად და სახელმძღვანელოდ მიღების თაობაზე.

18. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სმრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 8 აპრილის № 175 დადგენილებაში დამატებთა შეტანის თაობაზე.

19. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1007 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ.

21. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სპეციალიზებულ ტრესტთან საცხოვრებელი სახლების ფასადების სარემონტო და სარესტავრაციო სამმართველოს შექმნის შესახებ.

22. საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების ყოველწლიური კონკურსების ჩატარების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემდგომი განვითარებისა და კადრების შენარჩუნების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის განვითარებას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში კადრების შენარჩუნებისათვის.

მიმდინარე ხუთწლედში სახელმწიფო და კოლმეურნეობები სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას მოახმარენ კაპიტალურ დაბანდებებს 160,3 მილიონი მანეთის ოდენობით, ანუ 63,3 მილიონი მანეთით მეტს, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ხუთწლედში საბინაო მშენებლობის ტემპი რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა, სამინისტროები და უწყებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. ბევრი საცხოვრებელი სახლი ისე შენდება, რომ არა აქვს კომუნალური დამხმარე სათავსები და არ შეესაბამება თანამედროვე არქიტექტურულ მოთხოვნებს. ზოგიერთი მეურნეობა თავის მუშაკებს არ უწევს საჭირო დახმარებას ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განხორციელებაში; ბევრ შემთხვევაში კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშებს, რომლებიც ინდივიდუალურ საცხრვრებელ სახლებს იშენებენ, მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში არ შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში.

მრავალბინიანი სახლების მშენებლობისას არ აშენებენ პირადი დამხმარე მეურნეობის წარმოებისათვის საჭირო ნაგებობებს.

ამავე დროს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ფართოდ განვითარება, სახელმწიფო და საკოლმეურნეო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან ერთად, ხელს შეუწყობდა საბინაო ფონდის სწრაფ განახლებასა და გადიდებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და კადრების შენარჩუნებას სოფლის მეურნეობაში.

სოფლად კეთილმოწყობილი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემდგომი განვითარების, კადრების შენარჩუნების მიზნით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 19 ივნისის № 518 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს უზრუნველყონ, რომ გაფართოვდეს სოფლად საკარმიდამო ტიპის კეთილმოწყობილი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რომელთაც ექნებათ საეზოე ნაგებობანი პირუტყვისა და ფრინველის შესანახად, სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ ტიპობრივი პროექტების მიხედვით, ქარხანაში დამზადებული ხის პანელებისა და სხვა პროგრესული ასაწყობი კონსტრუქციების გამოყენებით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმშენმა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წინადადება იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა პირველ რიგში დაიწყოს შემდეგ მაღალმთიან და მთიან რაიონებში: ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ჯავის, დუშეთის, ყაზბეგის, ქედის, ლენტეხის, მესტიის, ონის, თიანეთის, წალკის, ცაგერის, ხულოს, შუახევის, აგრეთვე რესპუბლიკის მთიანი ზონის სხვა რაიონებში, რომლებსაც აქვთ მოსახლეობის მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, და შემდგომში გაითვალისწინონ წლიურ და პერსპექტიულ გეგმებში:

— კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობანი და საიჯარო სამუშაოთა ლიმიტები;

— საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში დასახლებისგარე და დასახლებისშიგა საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობების მშენებლობა სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე, ხოლო კოლმეურნეობებში — საკუთარი სახსრების ხარჯზე საკოლმეურნეო მშენებლობის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ფარგლებში.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მონაწილეობით:

— გადასინჯოს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და საეზოე ნაგებობათა მოქმედი ტიპობრივი პროექტების ნუსხები და შეარჩიოს მათგან საუკეთესო პროექტები სოფლად მშენებლობის დროს გამოსაყენებლად;

— უზრუნველყოს საცხოვრებელი სახლების ისეთი ახალი ტიპობრივი პროექტების შემუშავება და დამტკიცება 1980 წელს, რომლებიც თავიანთი კე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილმოწყობისა და დაგეგმარების გადაწყვეტით დააკმაყოფილებენ სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

ნება დართოს საჭიროების შემთხვევაში სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის აშენდეს ადგილობრივი საშენი მასალებისაგან ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები ამ დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ ჯეროვანი საარქიტექტურო-სამშენებლო ზედამხედველობა აღნიშნული საცხოვრებელი სახლების მშენებლობისადმი.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განსაზღვროს ადგილობრივი პირობების შესაბამისად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ზღვრული ღირებულება და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმშენთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შესათანხმებლად.

მშენებლობის ღირებულება გაანგარიშდეს სახელმწიფო საბინაო მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისათვის დადგენილი წესის, ფასებისა და ნორმების მიხედვით.

5. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს განაცხადების მიხედვით მისცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს კრედიტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და საეზოე ნაგებობების ასაშენებლად მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით, ამასთან გადაახდევინოს აღნიშნულ მეურნეობებს კრედიტის სარგებლობისათვის 0,5 პროცენტი წლიური.

კრედიტი დაიფაროს სახლის მშენებლობის დამთავრების შემდეგ 20 წლის განმავლობაში. ამასთან კრედიტის თანხის ნახევარს დაფარავენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ამ მეურნეობათა ეკონომიკური სტიმულირების ფონდის ხარჯზე.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და საეზოე ნაგებობების მშენებლობისათვის დახარჯული კრედიტის თანხის ნახევარი ზარალიან და ნაკლებრენტაბელურ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს დაეფაროთ, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გადასახდელთა ვადების დადგომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისად და გაითვალისწინონ სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს მიიღონ საჭირო ზომები იმისათვის, რათა დროულად უზრუნველყონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების (საქართველოს სსრ სახმშენის მიერ დამტკიცებული ტიპობრივი პროექტების მიხედვით), აგრეთვე დასახლებისგარე და დასახლებისშიგა საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობების მშენებლობა.

8. ამ დადგენილების შესაბამისად დაეკისროთ სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის შემკვეთის ფუნქციები კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ამასთან მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ აღნიშნული სახლების მშენებლობა უნდა განხორციელდეს საქართველოს სსრ სახმშენის მიერ ამა თუ იმ რაიონისათვის რეკომენდებული პროექტების მიხედვით მოცემული დასახლებული პუნქტის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტით გათვალისწინებულ ნაკვეთებზე.

9. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა და საეზოე ნაგებობების, აგრეთვე დასახლებისგარე და დასახლებისშიგა საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობების მშენებლობის მოჯარის ფუნქციები დაეკისროთ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სხვა სახელმწიფო საჯარო სამშენებლო ორგანიზაციებსა და რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკოლმეურნმშენს“.

10. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტების ადგილმდებარეობასთან მისადაგების სამუშაოები დაეკისროთ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიუროებს მათთვის საპროექტო-საძიებო სამუშაოებისათვის დაწესებული ლიმიტის ფარგლებში.

11. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 ივნისის № 518 დადგენილებით:

ა) ნება დაერთოთ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს განახორციელონ სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ამ მეურნეობათა დასახლებებში შემდეგი პირობებით:

— მშენებლობის ღირებულება გამოიანგარიშება სახელმწიფო საბინაო მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისათვის დადგენილი წესის, ფასებისა და ნორმების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დასახლებისგარე და დასახლებისშიგა საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობების მშენებლობა ხორციელდება სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

— მუშაკთა მიერ საკუთარი სახსრების თავდაპირველი შესატანი დაწესებულია საეზოე ნაგებობებიანი სახლის მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით;

ბ) საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელებს უფლება მიეცათ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით 10 პროცენტამდე შეუმცირონ აღნიშნული თავდაპირველი შესატანის ოდენობა დემობილიზებულ მეომრებს, ახალდაქორწინებულებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს, ხოლო მეურნეობებში, რომლებიც მუშახელის მწვავე ნაკლებობას განიცდიან, — აგრეთვე მასობრივ პროფესიათა მუშაკებს, რომლებიც შუდმივ სამუშაოზე გაღავიდნენ ამ მეურნეობებში;

გ) ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, როგორც გამონაკლისი, დაუფარონ კრედიტის ეს წილი ზარალიან და ნაკლებრენტაბელურ საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გადასახდელთა ვადების დადგომის შესაბამისად.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაევალა გაითვალისწინოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებში ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები.

კრედიტის დანარჩენ ნაწილს დაფარავენ მეურნეობათა მუშაკები ყოველთვიურად თანაბარწილად;

დ) რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს მოახმარონ საკუთარი სახსრები დასახლებისგარე და დასახლებისშიგა საინჟინრო კომუნიკაციებისა და ნაგებობის მშენებლობას, აგრეთვე ააშენონ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები და საეზოე ნაგებობანი და დაფარონ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მიერ ამ მიზნით გაცემული კრედიტები ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესით.

ზარალიან და ნაკლებრენტაბელურ კოლმეურნეობებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრები აღნიშნული კრედიტის დასაფარავად მიეცემათ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის დაწესებული პირობების მიხედვით;

ე) დაწესდა, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მუშაკები, რომლებიც კოლმეურნეობებიდან მიდიან ან ტოვებენ სამუშაოს საბჭოთა მეურნეობაში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოში არასაპატიო მიზეზით ჩასახლების დღიდან 20 წლის გასვლამდე, მოვალენი არიან:

ან ჩააბარონ მეურნეობას სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტის ხარჯზე აშენებული საცხოვრებელი სახლები და საეზოე ნაგებობანი. ამასთან კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო აუნაზღაურებს ყოფილ მუშაკებს სახლის მშენებლობისათვის თავდაპირველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტანილ თანხას და კრედიტის დავალიანების დასაფარავად მათ მიერ გადახდილ თანხას, აგრეთვე დაუკავებს ნაგებობათა ცვეთის ღირებულებას არანაკლებ საამორტიზაციო ანარიცხების ოდენობით.

ანდა აუნაზღაურონ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობასა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს საცხოვრებელი სახლებისა და საეზოე ნაგებობების მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის და მეურნეობათა სახსრებით გაწეული დანახარჯები;

ვ) დაევალათ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს დაამტკიცონ ინსტრუქცია ამ დადგენილების გამოყენების წესის შესახებ.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახმომარაგებას, საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სოფლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის საწარმოო ბაზის მნიშვნელოვანი გაფართოების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წლის 4 იანვარი, № 10

2 კოლექტიური მეგალეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ[1])

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. **შეიქმნას კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა** (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭო.

2. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს შენახვის ხარჯები გაღებულ იქნეს კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობების (კოოპერატივების) წევრთა შენატანების ანარიცხებიდან.

3. დამტკიცდეს აღნიშნული საბჭოს საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა, № 1 და 2 დანართების თანახმად.

4. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) საქმიანობის კოორდინაციისათვის შეიქმნას თბილისის სახალხო დეპუ-

1) დანართი არ მოიყვანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან განყოფილება 4-5 საშტატო ერთეულით, ხოლო ქუთაისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან — ჯგუფები, 2-3 საშტატო ერთეულით კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობების (კოოპერატივების) წევრთა შენატანების ანარიცხების ხარჯზე.

5. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და შეუთანხმოს ყველა დაინტერესებულ სამინისტროსა და უწყებას დებულება კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის შესახებ და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოყოს შესაბამისი სადგომი კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის ამხანაგობათა (კოოპერატივთა) მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს მოსათავსებლად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წლის 16 იანვარი, № 34

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 აპრილის № 224 დადგენილების მე-4 პუნქტის ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიის შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს მე-4 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 აპრილის № 224 დადგენილებისა „ჩაის საბჭოთა მეურნეობებისათვის მუშახელით დახმარების გაწევის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 9 იანვარი, № 50

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიეკუთვნოს აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის სახელი:

— საქართველოს ფიზიოლოგთა საზოგადოებას;

— გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის საშუალო სკოლას;

— ქალაქ თბილისისა და ქალაქ გურჯაანის ერთ-ერთ ქუჩას.

2. დაიდგას ქალაქ თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ეზოში აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის ძეგლი.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოყოს ლიმიტი ძეგლის ასაგებად და უზრუნველყოს იგი დაფინანსებით.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დააწესოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდიები: ერთი — ბიოლოგიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის და ერთი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებისათვის.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ:

— დააწესოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპრემიო ფონდის ხარჯზე აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის პრემია (2.500 მანეთის ოდენობით), რომელიც მიენიჭება სამ წელიწადში ერთხელ საუკეთესო ნაშრომებს ფიზიოლოგიის დარგში;

— დააწესოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სასტიპენდიო ფონდის ხარჯზე აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტებისათვის;

— მოაწყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ს. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში აკადემიკოს ი. ს. ბერიტაშვილის კაბინეტ-მუზეუმი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

5 იმ დოკუმენტების ნუსხის დამატების შესახებ, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 26 ივლისის № 513 დადგენილებით დამტკიცებულ იმ დოკუმენტების ნუსხას, რომლებითაც დავალიანების გადახდევინება წარმოებს უდავო წესით სანოტარო ორგანოთა სააღსრულებო წარწერების საფუძველზე IV განაყოფის მე-14 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვის „წყლის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და ბუნებრივი გაზის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 4 იანვარი, № 1

6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიის შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 4 იანვარი, № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 4 იანვრის № 3 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 სექტემბრის № 641 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 იანვრის № 58 დადგენილების გაუქმების შესახებ“, მე-2 პუნქტის გარდა.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 ივლისის № 453 დადგენილება „სამოქალაქო საჰაერო ფლოტისა და გაზის მრეწველობის ორგანიზაციების კუთვნილი სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებმაც ამ ორგანიზაციებთან შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 12 ოქტომბრის № 653 დადგენილება „იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შესაძლებელია მობინადრეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 13 მაისის № 280 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებაში ზოგიერთი დამატების შეტანის შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის № 444 დადგენილება „იმ საწარმოებისა და დაწესებულებების სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შეიძლება გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად“.

6. საქართველოს სსრ 1964 წლის 28 აგვისტოს № 544 დადგენილება „საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 18 ნოემბრის № 691 დადგენილება „იმ საწარმოთა და დაწესებულებათა სიის დამატების შესახებ, რომელთა სახლებიდან შესაძლებელია სასამართლო წესით გამოსახლება საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 ნოემბრის № 1725 განკარგულება.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 3 დეკემბრის № 692 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 18 მარტის № 156 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 აპრილის № 247 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 მაისის № 319 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 4 ივნისის № 342 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ივნისის № 379 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 2 სექტემბრის № 524 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 14 თებერვლის № 88 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 თებერვლის № 117 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 მარტის № 175 დადგენილება „ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ ფოთის ჰიდრომექანიზაციის მანქანათმშენებლობის ქარხნისათვის საცხოვრებელი სახლების დაბრუნებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 22 მარტის № 176 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

20. „საკედლე მასალების წარმოების გეგმის შესრულებაში საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსათვის დახმარების გაწევის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 დეკემბრის № 759 დადგენილების მე-3 პუნქტი.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 მაისის № 282 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 20 ივნისის № 328 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 აგვისტოს № 443 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 21 ნოემბრის № 585 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

25. „საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 8 იანვრის № 16 დადგენილების 22-ე პუნქტი.

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 იანვრის № 52 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 ივლისის № 437 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 აგვისტოს № 496 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 12 სექტემბრის № 538 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 ოქტომბრის № 584 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

31. „თბილისის მართულ გამოსათვლელ მანქანათა ქარხნის მშენებლობის პირველი რიგის ამოქმედების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 7 ოქტომბრის № 585 დადგენილების მე-4 პუნქტი.

32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 ოქტომბრის № 599 დადგენილება „საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით“.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 ნოემბრის № 667 დადგენილება „საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით“.

34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 25 დეკემბრის № 696 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

35. „ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების იმ მედიცინის და ფარმაცევტ მუშაკთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ, რომლებიც მომსახურებას უწევენ სოფლის მოსახლეობას“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 12 იანვრის № 14 დადგენილების მე-3 პუნქტი.

36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 18 თებერვლის № 78 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

37. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 15 აპრილის № 182 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

38. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 13 მაისის № 265 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

39. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 მაისის № 303 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

40. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 20 ივლისის № 402 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

41. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 31 ივლისის № 434 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 18 სექტემბრის № 514 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.“

43. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 22 სექტემბრის № 520 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

44. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 24 თებერვლის № 113 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

45. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 13 აპრილის № 188 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 მაისის № 298 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

47. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 23 ივლისის № 387 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 10 ივლისის № 453 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

48. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 16 აგვისტოს № 440 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 მაისის № 221 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 31 მაისის № 300 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

51. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 ივნისის № 335 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

52. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 23 ივნისის № 352 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

53. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 29 ივნისის № 363 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

54. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 6 ივლისის № 375 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 15 აგვისტოს № 496 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

55. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 27 ივლისის № 409 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

56. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 9 მარტის № 136 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

57. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 26 აპრილის № 287 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 ნოემბრის № 667 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

58. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 15 ივნისის № 394 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 31 ივლისის № 464 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

60. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 28 აგვისტოს № 528 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

61. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 ივლისის № 395 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

62. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 6 ნოემბრის № 606 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 25 დეკემბრის № 683 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 დეკემბრის № 692 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

65. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 14 იანვრის № 21 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

66. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 თებერვლის № 109 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

67. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 28 მარტის № 194 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

68. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 21 აპრილის № 247 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

69. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 20 ივნისის № 410 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

70. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 20 აგვისტოს № 531 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დანართში დამატების შეტანის შესახებ“.

71. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 6 ოქტომბრის № 616 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

72. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 24 დეკემბრის № 742 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

73. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 21 აპრილის № 294 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

74. „ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის მუშაობის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 16 ივლისის № 499 დადგენილების მე-6 პუნქტი.

75. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 3 ივნისის № 411 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

76. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 12 აგვისტოს № 580 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

77. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 სექტემბრის № 659 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

78. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 მარტის № 123 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დანართის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“, უკანასკნელი აბზაცის გარდა.

79. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 მაისის № 297 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ“.

---

7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 824 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საბინაო ფონდის ექსპლუატაციისა და რემონტის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 4 სექტემბრის № 740 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლასა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 821 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო ფონდის და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ექსპლუატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 20 ნოემბრის № 696 დადგენილების 23-ე პუნქტის მე-2 და მე-7 აბზაცები;

— „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 27 დეკემბრის № 1039 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 იანვრის № 56 დადგენილების დანართის მე-2 პუნქტი;

— „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 10 ნოემბრის № 800 დადგენილების 39-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-11 აბზაცი.

2. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 24 დეკემბრის № 973 დადგენილებით დამტკიცებული კაპიტალური მშენებლობის საიჯარო ხელშეკრულებათა წესების 65-ე პუნქტში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 821 დადგენილებით შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) პირველ აბზაცში სიტყვების: „შესრულებულ სამუშაოთა“ შემდეგ მატებულია სიტყვები: „(საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სამუშაოთა გარდა)“;

ბ) დამატებულია შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„მოიჯარე, რომელიც საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ახორციელებს, ვალდებულია თავის ხარჯზე აღმოფხვრას შესრულებულ სამუშაოებში მისი მიზეზით დაშვებული დეფექტები, რომლებიც გამოვლინდება საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ მიღების დღიდან ორწლიანი საგარანტიო ვადის განმავლობაში (სამუშაოთა სახეობის მიუხედავად)“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 4 იანვარი, № 7

8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოდ გარდაქმნის შესახებ

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 8 იანვარი, № 8

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 12 იანვრის № 13 დადგენილება „საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 10 იანვრის № 12 დადგენილებით

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების

წ ე ს დ ე ბ ა

I. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება და მისი ამოცანები

1. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება არის ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს რესპუბლიკის მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების მუშაკებს.

2. ხელმძღვანელობს რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით, საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება მიზნად ისახავს ქართული, საბჭოთა და კლასიკური მემკვიდრეობის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს საბჭოთა მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომ განვითარებასა და პროპაგანდას, მასების ესთეტიკური დონის ამაღლებასა და მხატვრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

3. საზოგადოების ძირითადი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი რესპუბლიკაში მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების ყველა სახისა და ჟანრის განვითარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება თავის მუშაობას წარმართავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით.

4. დასახული მიზნის განსახორციელებლად საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება:

— მუშაობას ეწევა ახალგაზრდობისა და მოზარდი თაობის მხატვრული აღზრდისათვის;

— ქმნის სხვადასხვა ჟანრის თვითმოქმედ და პროფესიულ მუსიკალურ, საგუნდო და ქორეოგრაფიულ კოლექტივებს;

— აარსებს ხალხური სიმღერების შემსწავლელ სკოლებს, მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ სასწავლო დაწესებულებებს;

— მონაწილეობს ოლიმპიადების, დათვალიერებათა, სიმღერისა და ცეკვის დღესასწაულების ორგანიზაციაში;

— აწყობს კონკურსებსა და კონცერტებს;

— აქტიურ პროპაგანდას უწევს ქართველ, საბჭოთა, კლასიკოს და თანამედროვე კომპოზიტორთა საუკეთესო ნაწარმოებებს;

— მუშაობს ხალხური მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების შესწავლისა და პროპაგანდისათვის;

— აწყობს ფოლკლორულ ექსპედიციებს, ფოლკლორის კაბინეტებს, ფონოთეკებსა და გამოფენებს

— ქმნის შემოქმედებითს საბჭოებსა და სექციებს;

— ახორციელებს გამოცდილების ურთიერთგაზიარების ღონისძიებებს;

— აწყობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სემინარებს;

— მართავს ლექცია-კონცერტებს, დისკუსიებს, შემოქმედებითს საღამოებსა და შეხვედრებს;

— გამოსაცემად ამზადებს მეთოდიკურ სახელმძღვანელოებს, წიგნებს, კრებულებს, საინფორმაციო ფურცლებს;

— საჭიროების შემთხვევაში უკვეთავს და იჩენს სხვადასხვა ჟანრისა და ფორმის მუსიკალურ ნაწარმოებებს;

— განამტკიცებს და განავითარებს შემოქმედებითს კავშირს როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, ისე სოციალისტური ქვეყნების ანალოგიურ საზოგადოებებთან, საზღვარგარეთის მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების პროგრესულ მოღვაწეებთან და ორგანიზაციებთან;

— ზრუნავს მუსიკოსებისა და ქორეოგრაფების შემოქმედებითი ზრდისა და პროფესიული დაოსტატებისათვის;

— გზავნის საზოგადოების წევრებს შემოქმედებითს მივლინებებში;

— აშენებს საზოგადოების წევრებისათვის საცხოვრებელ ბინებს, დასვენებისა და შემოქმედების სახლებს, აძლევს შეღავათიან სამკურნალო და სხვა საგზურებს;

— ზრუნავს საზოგადოების წევრთა მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის (უწევს მათ ერთდროულ მატერიალურ დახმარებას);

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფულადი პრემიებითა და ფასიანი საჩუქრებით აჯილდოებს აქტიურ წევრებს;

— შუამდგომლობს მთავრობის წინაშე საზოგადოების ღვაწლმოსილი წევრებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების თაობაზე;

— ზრუნავს მუსიკისა და ქორეოგრაფიის გამოჩენილ მოღვაწეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად (ძეგლებისა და ბიუსტების დადგმა, მემორიალური დაფების გაკეთება და სხვა);

— საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად დადგენილი წესით აარსებს სამრეწველო საწარმოებს.

II. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წევრები, მათი მოვალეობანი და უფლებები

5. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება შედგება ინდივიდუალური და იურიდიული (კოლექტიური) წევრებისაგან.

6. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წევრებად მიიღებიან:

კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნეები, დირიჟორები, მუსიკოს-შემსრულებლები, ქორმაისტერები, გუნდისა და ორკესტრის მსახიობები, კონცერტმაისტერები და ლიბრეტისტები; მუსიკალური თეატრების მსახიობები და რეჟისორები; საცეკვაო კოლექტივების მსახიობები და ქორეოგრაფები, ბალეტის მსახიობები და ბალეტმაისტერები; მუსიკალური და ქორეოგრაფიული სასწავლებლების პედაგოგები; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკები; მხატვრული თვითმოქმედების წარმომადგენლები, რომელთაც გამოიჩინეს თავი შემოქმედებითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაში; ის პირები, რომელთაც თავიანთი საქმიანობით წვლილი შეაქვთ მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში.

7. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმიანობაში;

ბ) შეასრულოს საზოგადოების ზემდგომი ორგანოების დავალებანი;

გ) გადაიხადოს საწევრო შესატანი ყოველი წლის პირველ კვარტალში.

8. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების ყველა ორგანოში;

ბ) განიხილოს კრებებზე, პლენუმებზე, კონფერენციებსა და ყრილობებზე საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, გამოააშკარავოს ნაკლოვანებანი და იბრძოლოს მათი აღმოფხვრისათვის;

გ) ისარგებლოს საზოგადოების განკარგულებაში არსებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებით, მატერიალური დახმარებითა და შეღავათებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების იურიდიულ (კოლექტიურ) წევრებად მიიღებიან:

სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები, დაწესებულებები, ფაბრიკები, ქარხნები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

10. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების იურიდიულ წევრს უფლება აქვს:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციის საქმიანობის განხილვაში;

ბ) მოითხოვოს საზოგადოებისაგან თავისი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივებისათვის შემოქმედებითი დახმარება, ხოლო მუშა-მოსამსახურეებისა და თანამშრომლებისათვის კულტურულ-სანახაობით ღონისძიებათა განხორციელება და კონცერტების გამართვა.

11. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ინდივიდუალურ წევრად მიღებას ეწევიან საზოგადოების რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების გამგეობები, გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, როდესაც მას დაამტკიცებს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი.

12. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების რიგებში შემსვლელი წერილობითი განცხადებით მიმართავს საზოგადოების პირველადს* ორგანიზაციას, რომელიც საკითხს მისი წევრად მიღების შესახებ დააყენებს რაიონული ან საქალაქო ორგანიზაციის გამგეობაში.

13. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების იურიდიულ (კოლექტიურ) წევრად მიღებას ეწევიან საზოგადოების რაიონული და საქალაქო გამგეობები წევრად გახდომის მსურველი ორგანიზაციის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

14. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წევრად მიღებულ პირს ეძლევა საწევრო ბილეთი. იგი იხდის შესასვლელ შესატანს 1 მანეთსა და 50 კაპიკს და საწევრო შესატანს წელიწადში 1 მანეთს, ხოლო იურიდიული წევრები — 50 მანეთსა და მეტს.

15. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოებიდან წევრის გარიცხვა ხდება იმ შემთხვევაში, თუ: საზოგადოების წევრი სისტემატურად არიდებს თავს საზოგადოების დავალებების შესრულებას, ჩაიდენს ანტისაზოგადოებრივი ხასიათის საქციელს, არასაპატიო მიზეზით არ გადაიხდის საწევრო შესატანს ორი წლის განმავლობაში.

გარიცხვას აწარმოებენ ის ორგანოები, რომელთაც მინიჭებული აქვთ მიღების უფლება. გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ორი თვის განმავლობაში საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმში.

---

* იქ, სადაც პირველადი ორგანიზაცია არ არის, უშუალოდ რაიონული ან საქალაქო ორგანიზაციის გამგეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ორგანიზაციული წყობა

16. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც იწვევენ ხუთ წელიწადში ერთხელ.

საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების რიგგარეშე ყრილობის მოწვევა ხდება გამგეობის გადაწყვეტილებით ან საზოგადოების წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით.

17. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები, რომელნიც ყრილობის დელეგატებად არ არიან არჩეულნი, ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

18. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ყრილობა:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს საზოგადოების გამგეობისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

ბ) დაამტკიცებს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წესდებას, შეიტანს მასში ცვლილებებსა და დამატებებს;

გ) განსაზღვრავს საზოგადოების მორიგ ამოცანებსა და საქმიანობის ორგანიზაციულ ფორმებს;

დ) აირჩევს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობასა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას.

19. ყრილობიდან ყრილობამდე საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოა საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობა.

20. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობა:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის ანგარიშებს;

ბ) დასახავს ქართული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომი განვითარების ღონისძიებებს;

გ) განსაზღვრავს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მორიგი და რიგგარეშე ყრილობის მოწვევის ვადებს;

დ) დაადგენს ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმებს;

ე) აირჩევს გამგეობის პრეზიდიუმს, მის თავმჯდომარესა და მოადგილეებს.

საზოგადოების ყრილობებს შორის პერიოდში გამგეობა მოიწვევს პლენუმებს, სულ ცოტა ერთხელ წელიწადში.

21. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის აღმასრულებელი ორგანოა გამგეობის პრეზიდიუმი.

22. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) ხელმძღვანელობას და კონტროლს გაუწევს საზოგადოების ყველა ორგანიზაციის, დაწესებულებისა და საწარმოს იდეურ-შემოქმედებითსა და ორგანიზაციულ-ფინანსურ საქმიანობას;

ბ) კონტროლს გაუწევს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ყრილობისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

გ) განსაზღვრავს საზოგადოების სტრუქტურას;

დ) დაამტკიცებს საზოგადოების საფინანსო გეგმას;

ე) მიიღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების შექმნისა და ლიკვიდაციის შესახებ;

ვ) განსაზღვრავს საზოგადოების წევრთა აღრიცხვის წესს;

ზ) დაამტკიცებს დებულებებსა და ინსტრუქციებს;

თ) მოისმენს შემოქმედებითი სექციების, რესპუბლიკური და საოლქო ორგანიზაციების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

ი) გაანაწილებს მოვალეობებს პრეზიდიუმის წევრებს შორის.

23. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ორგანიზაციულ-შემოქმედებითს, საწარმოო, ფინანსურ და მიმდინარე საქმიანობას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევს სამდივნო.

24. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების სამდივნო:

ა) განახორციელებს კონტროლს საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი;

ბ) განსაზღვრავს საზოგადოების ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების შტატებს, ამტკიცებს მათ საწარმოო გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშგება-ბალანსებს;

გ) მოისმენს საქალაქო და რაიონული გამგეობების ანგარიშებს;

დ) საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წარმომადგენელია სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

სამდივნოს შემადგენლობაში შედიან გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები.

25. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია, რომელსაც იწვევენ ორ-სამ წელიწადში ერთხელ.

26. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები, რომელნიც კონფერენციის დელეგატებად არ არიან არჩეული, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

27. საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციის კონფერენცია:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) განსაზღვრავს საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებას და მის მორიგ ამოცანებს;

გ) აირჩევს გამგეობას, სარევიზიო კომისიასა და საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ყრილობის დელეგატებს.

28. საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანო კონფერენციიდან კონფერენციამდე არის გამგეობა.

29. საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციის გამგეობა:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს გამგეობის პრეზიდიუმის ანგარიშებს;

ბ) დასახავს რესპუბლიკასა და ოლქში მუსიკალური და ქორეოგრაფიული ხელოვნების შემდგომი განვითარების ღონისძიებებს;

გ) განსაზღვრავს მორიგი კონფერენციის მოწვევის ვადებს;

დ) დაადგენს კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმებს;

ე) აირჩევს გამგეობის პრეზიდიუმს, მის თავმჯდომარესა და მოადგილეებს.

კონფერენციებს შორის პერიოდში გამგეობა მართავს პლენუმებს, სულ ცოტა ერთხელ წელიწადში.

30. საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციის გამგეობის აღმასრულებელი ორგანოა გამგეობის პრეზიდიუმი.

31. საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციის გამგეობის პრეზიდიუმი:

ა) ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების იდეურ-შემოქმედებითსა და ორგანიზაციულ-ფინანსურ საქმიანობას;

ბ) მოისმენს და განიხილავს საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების ანგარიშებს;

გ) ანგარიშს ჩააბარებს თავისი მუშაობის შესახებ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმს;

დ) გაანაწილებს მოვალეობებს პრეზიდიუმის წევრებს შორის;

32. საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა კონფერენცია.

33. რაიონული და საქალაქო ორგანიზაციის კონფერენცია:

ა) მოისმენს და დაამტკიცებს გამგეობის ანგარიშებს;

ბ) ორი-სამი წლის ვადით აირჩევს გამგეობას;

გ) აირჩევს ყრილობის დელეგატებს.*)

34. საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციის გამგეობა:

ა) წარმართავს ორგანიზაციის მთელ საქმიანობას;

---

*) ავტონომიურ რესპუბლიკასა და ავტონომიურ ოლქში რესპუბლიკური და საოლქო კონფერენციის დელეგატებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სისტემატურად ჩააბარებს ანგარიშს საზოგადოების ზემდგომ ორგანოებს თავისი მუშაობის შესახებ;

გ) გაანაწილებს მოვალეობებს გამგეობის წევრებს შორის;

დ) აირჩევს გამგეობის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს;

35. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების წევრთა სამუშაო ადგილას, იქ, სადაც არის საზოგადოების სულ ცოტა 3 წევრი, იქმნება პირველადი ორგანიზაცია.

პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, რომელიც საზოგადოების წევრებს შორის ყოველდღიური მუშაობისათვის ორ-სამი წლის ვადით აირჩევს ორგანიზაციის თავმჯდომარესა და მის მოადგილეს.

36. საზოგადოების სარევიზიო ორგანოებია: საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ცენტრალური სარევიზიო კომისია, საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ორგანიზაციების სარევიზიო კომისიები. აღნიშნული კომისიები გამგეობებს არ ემორჩილებიან და ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ აბარებენ იმ ორგანოებს, ვის მიერაც თვითონ არიან არჩეულნი.

37. სარევიზიო კომისიები:

ა) კონტროლს გაუწევენ საზოგადოების ყრილობისა და კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ბ) დოკუმენტურ რევიზიას ჩაუტარებენ საზოგადოების ორგანიზაციებს, მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებსა და საწარმოებს;

გ) შეამოწმებენ საზოგადოების ორგანიზაციებში საქმის მიმდინარეობის სისწორეს და შესრულების ვადებს;

დ) შეატყობინებენ საზოგადოების ზემდგომ ორგანოებს რევიზიისა და შემოწმების შედეგებს;

ე) თავიანთი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით აირჩევენ თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს;

ვ) უფლებამოსილი არიან მოიწვიონ სპეციალისტები რევიზიის ჩატარებაში დასახმარებლად.

მთელი ხარჯების დაფინანსება, რაც დაკავშირებულია სარევიზიო კომისიის საქმიანობასთან, ხდება საზოგადოების ანგარიშზე და გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხარჯთაღრიცხვაში.

სარევიზიო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება ძალაშია თუ იგი მიღებულია კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედის თანდასწრებით.

სარევიზიო კომისიის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ გამგეობისა და გამგეობის პრეზიდიუმის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით.

38. საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებში არჩევა ხდება ღია კენჭისყრით. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმების ნახევარზე მეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

39. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოები უფლებამოსილი არიან ... სხდომას ესწრება მათი წევრების ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილების მიღება ხდება ღია კენჭისყრით.

IV. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების სახსრები

40. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მთელი მუშაობის დაფინანსება ხდება საზოგადოების საკუთარი სახსრებიდან.

41. საზოგადოების სახსრები შედგება:

ა) ინდივიდუალური წევრების შესასვლელი და საწევრო შენატანებისაგან;

ბ) იურიდიული (კოლექტიური) წევრების საწევრო შენატანებისაგან;

გ) საზოგადოების საწარმოების, მხატვრული კოლექტივების, კონცერტებისა და სხვა შემოსავლიდან.

42. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის ფონდში ანარიცხების ოდენობის ჩარიცხვის წესსა და სახსრების დანიშნულებისამებრ ხარჯვას განსაზღვრავს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი.

43. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება ქმნის შემდეგ ფონდებს:

ა) ძირითად ფონდს;

ბ) სარეზერვო ფონდს;

გ) სპეციალურ ფონდს;

დ) კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდს;

ე) საპრემიო და დაჯილდოების ფონდს;

ვ) დახმარების ფონდს.

44. ძირითადი ფონდი გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების სრულყოფისა და გაფართოებისათვის.

45. სარეზერვო ფონდის დანიშნულებაა საზოგადოების საქმიანობის შედეგად მიღებული შესაძლო ზარალის დაფარვა. აღნიშნულ ფონდს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება მიეცეს სხვა დანიშნულება.

46. სპეციალური ფონდი გამოიყენება საზოგადოების ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის როგორც სესხის მისაცემად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ფინანსური დახმარების გასაწევად (შემოქმედებითი მუშაობის გაშლა, მხატვრული კოლექტივების შექმნა, საწარმოო სამუშაოების ნორმალიზაცია, ახალი საწარმოების დაარსება და სხვ.).

მუსიკოსებისა და ქორეოგრაფების პროფესიული დაოსტატების ღონისძიებებისათვის.

47. კულტურულ-საყოფაცხოვრებო ფონდი გამოიყენება წევრებისათვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოების განკარგულებაში არსებული შეღავათების აღმოსაჩენად.

48. საპრემიო და დაჯილდოების ფონდი გამოიყენება სამუშაო გეგმის ფარგლებში, რულებისას თანამშრომლებისათვის პრემიების მისაცემად. აქტიური წევრებისა და მუშაობაში წარჩინებულთა დასაჯილდოებლად.

49. დახმარების ფონდი გამიზნულია საზოგადოების წევრთა და თანამშრომელთა ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა და სტიმულირებისათვის, საკურორტო მკურნალობისა და დასვენების, შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად.

50. ფონდების ოდენობასა და რაოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი.

V. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების იურიდიული უფლებანი

51. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება, საზოგადოების ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული ორგანიზაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს აქედან გამომდინარე ყველა უფლებითა და ვალდებულებით (შეუძლია შეიძინოს ქონება და ფლობდეს მას, ისარგებლოს კრედიტით, გახსნას ბანკში მიმდინარე ანგარიშსწორებისა და სხვა ანგარიშები, დადოს ხელშეკრულება, აღძრას სარჩელი და აგოს პასუხი მის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელზე სასამართლოსა და სახელმწიფო არბიტრაჟში და სხვ.).

52. საქართველოს მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებას აქვს ბეჭედი და შტამპი წარწერით: „საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი“.

53. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობა შეიძლება შეწყდეს საზოგადოების ყრილობის გადაწყვეტილებით ან მთავრობის დადგენილებით.

საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი სახსრები და ქონება გადაეცემა ყრილობის ან მთავრობის დადგენილებაში აღნიშნულ ორგანოებს.

---

10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩაქვის ჩაის და მახვილაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები განლაგებულია საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზონაში, სადაც საბინაო მშენებლობა შეზღუდულია, ხოლო ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა ქალაქის გარეუბანში მდებარეობს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი დაბის მშენებლობის სამუშაოებს ახორციელებს, აგრეთვე აღნიშნულ ობიექტებზე მუშა-მოსამსახურეთა კადრების შენარჩუნების მიზნით მიღებულ იქნეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, დაემატოს შემდეგი საწარმოები და ორგანიზაციები:

103. ქობულეთის რაიონის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა;
104. ხელვაჩაურის რაიონის მახვილაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა;
105. ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 11 იანვარი, № 23

11 „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ „ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილება, რომელშიც გამოხატულია პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი განუხრელი აღმავლობისათვის, ტყის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამრავლებისა და მისი რაციონალურად გამოყენებისათვის, მთელმა ჩვენმა საზოგადოებრიობამ დიდი კმაყოფილებით მიიღო, ჭეშმარიტად საერთო სახალხო საქმედ აღიარა და ყოველმხრივ ხელს უწყობს მის წარმატებით შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სატყეო მეურნეობის ორგანოებისა და სხვა უწყებათა მიერ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იქნა განხორციელებული ტყეების მოვლა-დაცვის, ახალი ტყეების გაშენების, მათი კეთილმოწყობისა და ბუნების წიაღში მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების მიზნით.

შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გენერალური გეგმა, რომელიც საფუძვლად უდევს მწვანე ზონაში მთელ შემდგომ მუშაობას.

გენერალური გეგმის მიხედვით თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ტერიტორია 52,3 ათასი ჰექტარიდან გაიზარდა 328,4 ათას ჰექტარამდე. მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის შერჩეულ იქნა 159 უბანი, აქედან 1980 წლისათვის გათვალისწინებულია მშრომელთა მასობრივი დასვენების სამსახურში ჩაყენებულ იქნეს 67 უბანი, რომლებიც ამ მიზნით მიუჩინეს თბილისსა და რუსთავში განლაგებულ უწყებებსა და საწარმო-დაწესებულებებს.

შექმნილია ქალაქების სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, ტყიბულის, ტყვარჩელის, ჭიათურის, გორის, ფოთისა და ზესტაფონის მწვანე ზონები და საგურამოს ეროვნული პარკი. 1978 წელს დამთავრდა ქალაქების ქუთაისის, გორის, ტყიბულის, ცხინვალის, ჭიათურისა და ზესტაფონის მწვანე ზონების გენერალური გეგმების შედგენა. 1979 წელს დამთავრდება საგურამოს ეროვნული პარკის, ქალაქების სოხუმისა და ბათუმის, ხოლო 1980 წლისათვის ქალაქების ტყვარჩელისა და ფოთის მწვანე ზონების გენერალური გეგმების შედგენა.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში ახალი ტყეების გაშენების მიზნით. სულ 1973-1978 წლებში ტყის აღდგენითი სამუშაოები (თესვა-დარგვა) ნაცვლად 14,8 ათასი ჰექტარისა შესრულდა 17,6 ათას ჰექტარზე, ხოლო ბუნებრივი განახლებისათვის ხელისშეწყობის ღონისძიება ნაცვლად 13,6 ათასი ჰექტარისა განხორციელდა 15,7 ათას ჰექტარზე, რაც დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებებზე შესაბამისად 2,8 ათასი და 2,1 ათასი ჰექტარით მეტია.

ასევე მაღალი მაჩვენებლებია მიღწეული ტყის კულტურების გახარების საქმეში — 76-80 პროცენტი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65-70 პროცენტისა.

არსებული სანერგეების ინტენსიფიკაციის შედეგად მიღებულია 7-8 მილიონი ძირი დიდი ზომისა და საჭირო ასორტიმენტის სარგავი მასალა.

მწვანე ზონაში ყოველწლიურად მიმდინარეობს ტყის შემქმნელი ისეთი ძვირფასი ჯიშების გაშენება, როგორიცაა ფიჭვი, იფანი, ნეკერჩხალი, წიფელი, მუხა, ნაყოფის მომცემი ხე-მცენარეები — კაკალი, ნუში, პანტა და სხვ.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ხანძრებისაგან, დაავადებებისაგან, უკანონო ჭრებისა და სხვა დარღვევებისაგან ტყეების დაცვა და მოვლა-პატრონობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქების თბილისისა და რუსთავის შემოგარენის გამწვანებისა ... ... თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ ქალაქების მშრომელთა კოლექტივებს, სტუდენტობას და მოსწავლე ახალგაზრდობას, რომლებიც ყოველწლიურად და სისტემატურად მონაწილეობენ ამ მიზნით მოწყობილ შაბათობებში. მაგალითად, 1973-1978 წლებში შაბათობებში მონაწილეობა მიიღო 250 ათასამდე კაცმა, რომლებმაც მცენარეების დასარგავად ამოიღეს 423 ათასი ორმო, დარგეს 61 ათასი ძირი დიდი ზომის ნერგი, შეასრულეს ტყის კულტურების მოვლისა და მორწყვის მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები.

მოწონებას იმსახურებს ბორჯომის, ხაშურის, ბოლნისის, თიანეთის, დუშეთის, მახარაძისა და თეთრი წყაროს რაიონების მშრომელთა ინიციატივა, რაც მათ გამოიჩინეს თბილისისა და რუსთავის შემოგარენში ახალი ტყეების შესაქმნელად, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პატრიოტული თაოსნობა ყოველწლიურად გააშენოს ორ-ორი ჰექტარი ტყე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ინიციატივა პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა ძალებით ინსტიტუტის შემოგარენში გააშენონ 35 ჰექტარი ტყე-პარკი და სხვ.

მოსწავლე ახალგაზრდობაში ტყის სიმდიდრეთა მნიშვნელობის პროპაგანდის, მოზარდ თაობაში მშობლიური ბუნების პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობის დანერგვის მიზნით თბილისი'ა და რუსთავის მწვანე ზონის ქალაქებისა და რაიონების 167 საშუალო, რვაწლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში შექმნილია სასკოლო სატყეოები, რომლებშიც გაერთიანებულია 18 ათასზე მეტი მოსწავლე. სასკოლო სატყეოებში გაერთიანებულმა მოსწავლე ახალგაზრდობამ იკისრა მოვლა-დაცვისათვის გაიპიროვნოს 15 ათას ჰექტარზე მეტი ტყე, გააშენოს 100 ჰექტარი ახალი ტყის მასივები ტყის კულტურებში, სანერგეებსა და სკოლა-პლანტაციებში შეასრულოს მოვლითი სამუშაოები და სხვ. გათვალისწინებულია მთლიანად რესპუბლიკაში სასკოლო სატყეოების შექმნა დამთავრდეს მიმდინარე წელს.

გარკვეული სამუშაოები შესრულდა თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ტყეების კეთილმოწყობის მიზნით.

მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის უკეთ მოწყობისათვის შემუშავდა საწარმო-ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ნაკვეთების კეთილმოწყობის პროექტები.

1973-1978 წლებში მწვანე ზონაში კაპიტალური დაბანდების ხარჯზე შესრულდა 1041,2 ათასი მანეთის სამუშაოები. აშენდა მცირე არქიტექტურული ფორმები, გაკეთდა სპორტული მოედნები, ავტოსადგომები, ტყეებში გაყვანილ იქნა ელექტროგანათება, გზები, ბილიკები და სხვა.

დასასვენებელ უბნებში არსებული წყაროების დებიტისა და ვარგისიანობის დადგენის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის პრობლემების კვლევითმა ლაბორატორიამ 129 ობიექტზე შეასრულა წყაროების ჰიდროგეოლოგიური გამოკვლევა და დაამუშავა საჭირო რეკომენდაციები, ამასთან შეიმუშავა წინადადებანი მცირე დებიტის ან სრულიად უწყლო დასასვენებელ ადგილებში არტეზიული ჭაბურღილების მოწყობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1973-1978 წლებში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში ააშენა 264 კმ, ხოლო საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრომ — 90 კმ გზა.

მიჩენილი ტყის უბნების კეთილმოწყობის, ტყის გაშენების, გაწმენდისა და ბუნების წიაღში მშრომელთა მასობრივი დასვენების საქმეს პასუხისმგებლობით მოეკიდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ინსტიტუტები „საქმეტალურგპროექტი“ და „ავტომატმრეწვი“, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო და სხვ.

ამასთან ერთად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების შესრულების საქმეში არის არსებითი ნაკლოვანებანი.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად და არასისტემატურად ხორციელდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 და 1974 წლის 15 ოქტომბრის № 575, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 7 დეკემბრის № 721 და 1976 წლის 18 აგვისტოს № 582 დადგენილებებით გათვალისწინებული ღონისძიებანი. შესრულებული სამუშაოების ტემპი არ შეესაბამება დასახულ ამოცანებს. სუსტ კონტროლსა და კოორდინაციას უწევენ აღნიშნულ დადგენილებათა შესრულებას საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო, თბილისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომები.

ნელი ტემპით მიმდინარეობს მდგრადი და ლამაზი ტყეების შექმნის სამუშაოები. მეტყევე სპეციალისტები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ჩასწვდნენ მწვანე ზონის ტყეებში მუშაობის სპეციფიკას, რის გამოც მწვანე ზონაში სატყეო-სამეურნეო ღონისძიებანი, არც თუ იშვიათად, ხორციელდება მათი სპეციფიკის გაუთვალისწინებლად, ისე, როგორც სხვა ტყეებში. ამ დანიშნულებით არ მომხდარა კადრების გადამზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება.

დაბალია სანერგეებიდან მთავარი ტყის შემქმნელი ჯიშების ნერგთა საჰექტარო გამოსავლიანობა. იგი 60-70 პროცენტს არ აღემატება. აგროწესების დარღვევით ტყის კულტურების გაშენებისა და მოვლის ღონისძიებათა დროულად განუხორციელებლობის შედეგად ტყით დაფარულ ფართობებში გადარიცხული არ არის 1329 ჰექტარი ტყე.

კვლავ მოუწესრიგებელია მწვანე ზონის ტყეებში პირუტყვის ძოვების საკითხი, რის გამოც ზიანდება ტყის კულტურები და ხელი ეშლება ტყის ბუნებრივ განახლებას. 1973-1978 წლებში პირუტყვის უსისტემო ძოვების შედეგად 217 ჰექტარზე დაიღუპა ტყის კულტურები. ჯერ კიდევ არის ტყის უკანონო ჭრის ფაქტები, არის ხანძრის წარმოქმნის შემთხვევები, ზოგ ადგილას ტყე მოუვლელია და სხვ.

ნელა ხორციელდება სახელმწიფო ტყის ფონდში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტყეების გადაცემა. გადაუჭრელია მწვანე ზონაში ტყის სანერგე მეურნეობის განვითარებისა და ამ მიზნით შესაბამისი ფართობების გადაცემის საკითხი. არ შესრულებულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 7 დეკემბრის დადგენილება სატყეო-სანერგეებისა და სკოლა-პლანტაციების მოსაწყობად დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეობიდან 180 ჰექტარი მიწის ნაკვეთის სახელმწიფო ტყის ფონდში გადაცემის შესახებ.

განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის გამოყოფილ უბნებთან მისასვლელი გზების მშენებლობის საქმეში. არასაკმარისია არსებული გზების ქსელი, ახალი გზების მშენებლობისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი და ფულადი სახსრები. ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს გზების მშენებლობის ორგანიზაცია და ხარისხი.

საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველომ არ შეასრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 18 აგვისტოს № 582 დადგენილება მწვანე ზონაში გამოყოფილ დასასვენებელ უბნებში არტეზიული ჭაბურღილების მოწყობის შესახებ.

არ აღმოფხვრილა თბილისისა და რუსთავის მიდამოების გაჭუჭყიანება სამშენებლო, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნაგვით. სუსტად არის დაყენებული მოსახლეობაში, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და საწარმო-დაწესებულებებში ტყეების დაცვის, გამრავლებისა და ჩვენი ბუნების მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის გამოყენების პროპაგანდა. მისადგომ ტყის უბნებში, გზის პირებზე და დასასვენებელ ადგილებში საკმარისი რაოდენობით არ არის გამოტანილი შესაბამისი თვალსაჩინოებანი, პლაკატები, წარწერები, ნახატები და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 ნოემბრის № 685 დადგენილება „ქ. თბილისის გამწვანებისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. თბილისის გამწვანებისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის განვითარების ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქის განაშენიანების ტემპს. ნაკლები ყურადღება ექცევა ქალაქში არსებული პარკებისა და ბაღების, სკვერებისა და გაზონების მოვლა-პატრონობას.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ქ. რუსთავისა და მისი შემოგარენის გამწვანება-გატყევება. მწვანე მშენებლობა მოწყვეტილია ქალაქის მშენებლობის საერთო ამოცანის გადაჭრისაგან. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი ჯეროვნად არ ზრუნავს მწვანე ნარგაობათა დაცვისა და გამრავლებისათვის, საგარეუბნო ტყეებში მოსახლეობის ხანმოკლე და ხანგრძლივი დასვენების ორგანიზაციისათვის, საკმარისად არ იზიდავს ამ საქმეში ქალაქის მოსახლეობასა და საწარმო-დაწესებულებებს.

ძალზე დაბალია მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის გამოყოფილ უბნებში კეთილმოწყობის სამუშაოების ტემპი. ტყეების კეთილმოწყობისა და ტყის აღდგენით სამუშაოებში სისტემატურად არ მონაწილეობენ მშრომელთა ფართო მასები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სტუდენტობა, მოსწავლე-ახალგაზრდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვანე ზონაში მაღალ დონეზე მშრომელთა მასობრივი დასვენების ორ-
განიზაციის საქმეში, ჯერ კიდევ ნაკლებად იგრძნობა ის პატრიოტიზმი, რომელიც
უზრუნველყოფს ამ დიდი სახელმწიფოებრივი საქმის შემდგომ გაუმჯობესებას.

ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საწარმო, დაწესებულება და ორგანიზა-
ცია ნაკლებად ზრუნავს მათთვის მიჩენილი ტყის უბნების კეთილმოწყობისათ-
ვის, ტყეებში მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციისათვის და ეს
მარტო საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემ-
დებარებულ სამეურნეო ორგანიზაციების მოვალეობად მიაჩნიათ. დღემდე ამ
მიმართულებით არაფერი არ გაუკეთებიათ რუსთავის ცემენტის ქარხანას, თბი-
ლისის № 1 ავტოსარემონტო ქარხანას, თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხა-
ნას, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტს, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტი-
ტუტს, რუსთავის საგზაო სამშენებლო მანქანების ქარხანას, რუსთავის ფოლად-
თუჯსამსხმელო ქარხანას, „რუსთავგაზს“, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გა-
ერთიანებას, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანს“, სამეცნიერო-საწარმოო
გაერთიანება „ელვას“, თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს,
ავჭალის მინის ქარხანას, „შამპანკომბინატს“ და სხვ.

რადიო, ტელევიზია და პერიოდული პრესა ჯერ კიდევ ნაკლებად აშუქებენ
მწვანე ზონის გაფართოების, მისი კეთილმოწყობისა და საწარმო-ორგანიზაციე-
ბის მიერ ამ მწვანე ზონაში მშრომელთა მასობრივი დასვენების მოწყობის და-
დებით გამოცდილებასა და ნაკლოვანებებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აღინიშნოს, რომ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოე-
ბის აღმასკომები, სამინისტროები, საწარმო-დაწესებულებანი და ორგანიზაციე-
ბი საკმაო მუშაობას არ ეწევიან საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგე-
ნილების შესასრულებლად მწვანე ზონაში ორგანიზაციებისათვის მიჩენილი
ტყის ნაკვეთების კეთილმოწყობისა და მშრომელთა ხანგრძლივი და ხანმოკლე
დასვენების უზრუნველსაყოფად.

— დაევალოთ თბილისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო
და მწვანე ზონაში შემავალი რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროე-
ბის, საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს აღმო-
ფხვრან მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის საქმეში არსებული
ნაკლოვანებანი, სახალხო-სამეურნეო გეგმებში ყოველწლიურად გაითვალის-
წინონ მათი ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ტყის ნაკვეთების კეთილ-
მოწყობის სამუშაოების შესრულება. გამწვანებისა და კეთილმოწყობის
სამუშაოებში პრაქტიკული მონაწილეობისათვის ფართოდ მიიზიდონ მუ-
შა-მოსამსახურეები, მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, მოსახლეობა;
გააჩაღონ საწარმოების, დაწესებულებების, სასწავლებლების, საცხოვრებელი
უბნების, რაიონებისა და ქალაქების სოციალისტური შეჯიბრება გამწვანებისა
და მშრომელთა მასობრივი დასვენების მოსაწყობად მიჩენილი ნაკვეთების კე-
თილმოწყობის სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მკაცრად დაგმონ უპასუხისმგებლობისა და დაუდევრობის ყოველგვარი გამოვლენა აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში; სისტემატურად განიხილონ დადგენილებით გათვალისწინებულ სამუშაოთა მსვლელობის საკითხი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მის შესასრულებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს:

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილების განუხრელად შესრულების მიზნით გააძლიეროს კონტროლი მწვანე ზონის საკითხებზე ადრე მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი და უზრუნველყოს ამ საკითხებთან დაკავშირებულ სამუშაოთა სათანადო კოორდინაცია. განხორციელებულ ღონისძიებათა და მიღებული შედეგების შესახებ სისტემატურად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— გააძლიეროს ტყის აღდგენითი სამუშაოები, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მდგრადი და ლამაზი ტყეების გაშენებას, რომლებიც ყველაზე სრულად შეესაბამებიან სარეკრეაციო მიზნებს, სანიტარიულ-ჰიგიენურ და ესთეტიკურ მოთხოვნებს;

— განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი სატყეო-სანერგე საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის, ფართოდ გაშალოს სამუშაოები დიდი ზომის ნერგების გამოსაყვანად;

— მწვანე ზონის ტყეებში სისტემატურად განახორციელოს სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, მკვეთრად გააძლიეროს მუშაობა ხანძრებისაგან, უკანონო ჭრისაგან და წესების სხვა დარღვევებისაგან ტყის დაცვის უზრუნველსაყოფად;

— მიიღოს ზომები ფაუნის დაცვისა და მისი სახეობრივი რაოდენობის გაზრდისათვის; მწვანე ზონის ტერიტორიაზე მაქსიმალურად შეზღუდოს შხამქიმიკატების გამოყენება;

— ყოველი ღონისძიებით დააჩქაროს ტყის გზების მშენებლობა, ამასთან გააუმჯობესოს გზების მშენებლობის ხარისხი და საჭიროების შემთხვევაში შეაკეთოს მოქმედი გზები;

— მკაცრი კონტროლი დააწესოს და სახელმწიფო ტყის ფონდის მწვანე ზონის ტყეებში არ დაუშვას უპროექტო ან პროექტიდან გადახვევით მშენებლობის ფაქტები;

— სისტემატურად გასწიოს მოსახლეობაში და დამსვენებელთა შორის ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, რაც მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელთა მასობრივი დასვენების ადგილებში ბუნების დაცვასა და წესრიგის უზრუნველყოფას, ფართოდ ჩააბას საზოგადოებრიობა ტყის სიმდიდრეთა დაცვის საქმეში;

— 1979 წლიდან თბილისის სატყეო ინსტიტუტში ყოველწლიურად მოაწყოს მწვანე ზონაში მომუშავე სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ამ მიზნით 1979 წლის 1 სექტემბრამდე მიავლინოს მწვანე ზონის სატყეო მეურნეობებში მომუშავე 20 მეტყევე სპეციალისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, გარდაბნის, დუშეთის, მცხეთის, კასპის, თიანეთის, ბოლნისის, საგარეჯოს, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ტყეების შემდგომი მოვლა-დაცვისა და ეროზიული ფართობების გატყევების მიზნით შესაბამის მიწათმოსარგებლეებთან ერთად მიმდინარე წლის 1 ივლისამდე შეისწავლონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამგებლობაში არსებული ტყეების, გატყევებული და გაუტყევებელი ეროზიული ფართობების, აგრეთვე მწვანე ზონის სახელმწიფო ტყის მასივების შიგნით, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის გადაცემული ტყით დაუფარავი მცირე ფართობების სახელმწიფო ტყის ფონდში გადაცემის საკითხი და წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, თბილისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებსა და გარდაბნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ შეთანხმებული წინადადებანი იაღლუჯის მთის ფერდობების 1100 ჰექტარი ფართობისა და კრწანისის ტყეპარკის მიმდებარე ჭალის ტყეების სახელმწიფო ტყის ფონდში გადაცემის შესახებ.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, გარდაბნისა და მცხეთის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს საკოლმეურნეო ან საბჭოთა მეურნეობის მიწებიდან ერთი თვის ვადაში გამონახონ სახნავ-სათესად ვარგისი 200 ჰექტარი ფართობი მწვანე ზონისათვის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ტყის სანერგის მოსაწყობად და სახელმწიფო ტყის ფონდში ამ ფართობის გადასაცემად შეთანხმებული წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე წლის 1 ივლისამდე აღრიცხონ სარეკულტივაციო ფართობები ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში და იმ სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად, რომელთაც ევალებათ ამ ფართობებზე აღდგენითი სამუშაოების შესრულება, დაადგინონ მათი აღდგენის ვადები და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით საკითხი განსახილველად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. ვინაიდან თბილის-რუსთავის მონაკვეთში მდინარე მტკვრიდან ინერტული მასალების მოპოვება იწვევს მდინარის კალაპოტის ცვალებადობას და იქმნება კრწანისის ტყეპარკისა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახნავ-საძოვარი ფართობების დატბორვისა და წალეკვის საფრთხე. დაევალოთ საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს შეისწავლოს ნაშნული საკითხი და თავიანთი წინადადებანი თბილის-რუსთავის მონაკვეთში მდინარე მტკვრიდან ინერტული მასალების მოპოვების აკრძალვის შესახებ ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1979 წლის 1 აპრილამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეთანხმებული, დიფერენცირებული წინადადებები მწვანე ზონის ტყეებში პირუტყვის ძოვების აკრძალვის შესახებ.

9. კატეგორიულად აიკრძალოს მწვანე ნარგავების გასაშენებლად განკუთვნილი და ტყით დაფარული ნაკვეთების გამოყოფა შენობა-ნაგებობათა მშენებლობისათვის.

10. აღინიშნოს, რომ ძალზე დაბალია მწვანე ზონაში სახელმწიფო ტყის მასივებამდე მისასვლელი საავტომობილო გზების მშენებლობის ტემპი.

დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს გააძლიეროს სახელმწიფო ტყის მასივებამდე საავტომობილო გზების მშენებლობის ტემპი და უზრუნველყოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის № 143 დადგენილებით 1980 წლის ბოლომდე 150 კმ გზის მშენებლობის დავალების შესრულება.

მშრომელთა მასობრივი დასვენების კეთილმოწყობილ უბან „მამკოდასთან", სამამულო ომში დაღუპულ თბილისელ მეომართა ხსოვნის მემორიალური ტყეპარკისაკენ მიმავალ გზაზე დააპროექტოს და 1980 წლისათვის თავისი ძალებით და სახსრებით მდინარე გლდანზე ააშენოს საავტომობილო ხიდი რესპუბლიკური გზებისათვის გამოყოფილი სახსრებით და მასალებით.

11. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მწვანე ზონის კეთილმოსაწყობად მცირე არქიტექტურული ფორმების პროექტების შედგენისათვის საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1979 წელს გამოუყოს ლიმიტი 15 ათასი მანეთის ოდენობით. ამავე მიზნით გაითვალისწინოს შესაბამისი ლიმიტების გამოყოფა მომდევნო წლებშიც.

12. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის განკუთვნილი უბნების კეთილმოსაწყობად გამოუყოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს 1979 წელს 250 ათასი მანეთი. ამავე მიზნით გაითვალისწინოს შესაბამისი თანხების გამოყოფა მომდევნო წლებშიც.

13. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სახმშენსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და ხანგრძლივი დასვენების ობიექტების უკეთ მოწყობისა და გაფართოების მიზნით უფლება მისცენ დამკვეთ ორგანიზაციებს ქალაქების თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში მიჩენილი ნაკვეთები კეთილმოაწყონ და ააშენონ ამ ნაკვეთებზე საქართველოს სსრ სახმშენის მიერ დამტკიცებული პროექტით გათვალისწინებული მსუბუქი ტიპის საზაფხულო დასასვენებელი სახლების კომპლექსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ნება დართოს საბამის დამკვეთ ორგანიზაციებს მწვანე ზონაში დასვენების ობიექტების კეთილმოწყობის სამუშაოთა დაფინანსება განახორციელონ მათივე ძირითადი დარგების კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე. ორგანიზაციებს, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო სახსრები აღნიშნული ობიექტების დასაფინანსებლად, კაპიტალური დაბანდებანი გამოუყოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა.

15. დაევალოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს თბილისის სატყეო ინსტიტუტს, მოყოლებული 1979 წლიდან, შეიტანონ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებში მწვანე ზონის ტყეების სარეკრეაციო მნიშვნელობისა და ეკონომიკური ეფექტიანობის, აგრეთვე ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, მისი მუშაობის უნარიანობისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე მათი კომპლექსური დადებითი გავლენის საკითხების შესწავლა. აღინიშნოს, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 ოქტომბრის № 575 დადგენილებით გათვალისწინებული დავალება ამ საკითხზე.

16. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს განაცხადის მიხედვით ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე შეუსრულოს მიწის სამუშაოები (ნიადაგების დაპლანტაჟება, მიწის მოჭრა, გადაადგილება, ამოძირკვა, დატერასება და სხვ.).

17. ტყის კულტურების დასარგავად კლდოვანი ნიადაგების მომზადების მექანიზებული წესის ფართოდ დანერგვის მიზნით დაისვას საკითხი სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე ყოველწლიურად გაითვალისწინოს საჭირო რაოდენობის მძიმე ტრაქტორების, ამომძირკველების, ბულდოზერების, ავტოცისტერნებისა და სხვა ტექნიკის გამოყოფა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსათვის.

18. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში ყოველწლიურად შეუსრულოს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხრეშის გადაზიდვის სამუშაოები.

19. საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველომ შეისწავლოს საკითხი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებისა და პროექტების შესაბამისად, თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში არტეზიული ჭების მოწყობის შესახებ და დასვას იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში განსახილველად და დასამტკიცებლად.

20. დაევალოს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მწვანე ზონაში ტყის კულტურებისა და სანერგე სკოლა-პლანტაციების მორწყვის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 7 დეკემბრის № 721 და 1974 წლის 15 ოქტომბრის № 575 დადგენილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების შესაბამისად, შეისწავლოს ქალაქების თბილისისა და რუსთავის ფარგლებში არსებული სარწყავი სისტემების აღდგენა-განვითარების საკითხი, რისთვისაც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოუყოს მას დაპროექტებისა და მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალური დაბანდებანი.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით „საქსახწყალპროექტმა" 1979 წელს შეადგინოს საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია, ხოლო „საქმთავარწყალმშენმა" 1980 წლიდან საიჯარო წესით დაიწყოს სარწყავი სისტემის აღდგენისა და განვითარების სამუშაოები და უზრუნველყოს მათი დამთავრება 1983 წლამდე.

21. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების დადებითი გამოცდილება და ნაკლოვანებანი მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის საქმეში.

22. აღინიშნოს, რომ ტრესტ „სოიუზვზრივპრომის" საქართველოს სპეცსამმართველომ არადამაკმაყოფილებლად შეასრულა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალება თბილისის მწვანე ზონაში კრწანისის ფერდობებზე ტყის სარგავი ორმოების ბურღვა-აფეთქების სამუშაოების შესრულების შესახებ.

დაევალოს ტრესტ „სოიუზვზრივპრომის" საქართველოს სპეცსამმართველოს დასახოს ქმედითი ღონისძიებანი აღნიშნული დავალების განუხრელად შესრულებისათვის. ამ მიზნით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უზრუნველყოს გასული წლის გარღვევის დაფარვა და შემდგომში საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს მიერ მიცემული დავალების შესაბამისად რიტმულად და დასახულ ვადებში შეასრულოს ეს სამუშაოები.

23. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა მწვანე ზონაში მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწყებული 1979 წლიდან, შესაბამისი განაცხადების საფუძველზე ყოველწლიურად მოაწყოს საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების გადამზადება, ხოლო გამწვანებისა და დეკორაციული მებაღეობის დარგში — უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება.

საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა მოაწყოს „დასახლებული ადგილების გამწვანების" სპეციალობის არქიტექტორების მომზადება.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, დაწყებული 1979-1980 სასწავლო წლიდან, ყოველწლიურად საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განაცხადის საფუძველზე გაითვალისწინოს გამწვანებისა და დეკორაციული დარგის საშუალო-სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება.

24. დაევალოთ საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტროს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს შეისწავლონ და 1979 წლის 1 აპრილამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ ერთობლივი წინადადება „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ მწვანე ზონისათვის დამუშავებული კემპინგისა და კარვების ტიპის კომპლექსისათვის მსუბუქი სახლების ასაწყობი დეტალების დამზადებისა და საწარმო-დაწესებულებებისათვის მიწოდების შესახებ.

25. დაევალოს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს გამწვანებისა და დეკორაციული მებაღეობის სახელმძღვანელოების, მცენარეთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის აგროწესების, მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდურ მითითებათა, მწვანე ადგილის კეთილმოწყობისა და მასში მშრომელთა მასობრივი დასვენების ორგანიზაციის ინსტრუქციების გამოცემა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შეკვეთით.

26. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს, „საქმთავარწყალმშენს“, რესპუბლიკის სხვა სამინისტროებს, უწყებებსა და დაწესებულებებს, მსხვილ სამრეწველო ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებს, ქალაქების თბილისისა და რუსთავის და მათი შემოგარენის გამწვანება-გატყევების დაჩქარების მიზნით, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსთან და თბილისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებანი მათივე სახსრებითა და საშუალებებით ამ საქმეში მონაწილეობისათვის და წარმოუდგინონ კონკრეტული წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 1 აპრილისათვის.

27. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილოს საკითხი იმ საწარმო-დაწესებულებათა, უწყებათა და სასწავლებლების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებსაც თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონაში მშრომელთა მასობრივი დასვენებისათვის გამოეყოთ უბნები, მაგრამ მათ კეთილმოსაწყობად და იქ მშრომელთა მასობრივი დასვენების უზრუნველსაყოფად არაფერი არ გაუკეთებიათ.

28. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 1 ივლისისათვის.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილებამ დააწესოს კონტროლი ამ დადგენილების შესრულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარეობისადმი და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 15 დეკემბრამდე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 იანვარი, № 54

12 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აპრილის № 207 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 19 აპრილის № 207 დადგენილების პირველი პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგნაირად:

„1. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს თბილისის სატყეო მეურნეობის ის სატყეოები, რომლებიც მოქცეულია ქ. თბილისის საზღვრებში და ამჟამად თავისი საქმიანობით ექვემდებარებიან საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, 1979 წლის 1 იანვრიდან დაექვემდებარონ საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს.

მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო, რომელიც ამჟამად თავისი საქმიანობით ექვემდებარება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს, 1979 წლის 1 იანვრიდან დაექვემდებაროს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 იანვარი, № 57

ეროვნული ბიბლიოთეკა

13 საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანების შესახებ

საქართველოს სსრ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვა-აღდგენისა და გამოყენების საქმის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 24 თებერვლის № 105 დადგენილების პირველი პუნქტის მე-4 აბზაცი და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოების გაერთიანებას ამიერიდან ეწოდოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანებას იმოქმედოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს დებულების“ შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 იანვარი, № 58

14 საქართველოს სსრ მებაღეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნის შესახებ

მებაღეობის ამხანაგობებისა და მოსახლეობისათვის ორგანიზაციული და აგროტექნიკური დახმარების გაწევის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს წინადადება საქართველოს სსრ მებაღეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნის შესახებ.

2. დამტკიცდეს აღნიშნული საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტის შემდეგი შემადგენლობა: ამხ. ნ. გ. ვაშაძე (მოწვევა), ზ. დ. აბაზაძე, გ. ნ. გიგაური, ზ. ზ. დუდაური, გ. ზ. მირიანაშვილი, გ. დ. ყიფიანი, კ. ნ. შავიშვილი, ლ. ს. ხარბედია, ბ. ი. ჯაფარიძე.

3. საორგანიზაციო კომიტეტმა განახორციელოს ღონისძიებანი საზოგადოების პირველი ყრილობის მოსაწვევად, შეიმუშაოს ამ საზოგადოების წესდების პროექტი და წარადგინოს იგი ყრილობის განსახილველად.

4. საქართველოს სსრ მებაღეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველი ყრილობა მოწვეულ იქნეს 1979 წლის მარტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 26 იანვარი, № 59

15 მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვის შემდგომ სრულყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ფუნქციების გაფართოებისა და სტრუქტურის ცვლილების შესახებ

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მართვის საკითხებში საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლისა და ფუნქციების გაძლიერების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1978 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების (მე-2 პუნქტი), საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 3 აგვისტოს № 548 დადგენილების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 29 დეკემბრის № 1747 განკარგულების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ათვისების, პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის სახელმწიფო სტანდარტიზაციის დანერგვის და სახალხო მეურნეობის მეტროლოგიური უზრუნველყოფის, წარმოებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოშვებული პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიკური დონის ძირითადი მაჩვენებლების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, მეცნიერების დარგის კაპიტალურ დაბანდებათა მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვა.

2. სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის სახელმწიფო გეგმების კრებსითი პროექტების შემუშავების დასკვნით ეტაპზე საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტის განაყოფის — „მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება“ ყველა ქვეგანაყოფი და მაჩვენებელი და შეუსაბამოს ისინი სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგების განვითარების გეგმათა პროექტებს.

3. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დებულებებში შესაბამისი ცვლილებანი რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვისა და მართვის დარგში მათი ფუნქციების ზუსტად გამიჯვნის გათვალისწინებით.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 29 დეკემბრის № 1747 განკარგულებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის დამატებით გამოყოფილი საშტატო ერთეულების განაწილება, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 2 თებერვალი. № 80

16 თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 8 თებერვალი № 90

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 8 თებერვლის № 90 დადგენილებით

დებულება

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1.1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება შექმნილია „უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 6 აპრილის № 271 დადგენილების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 ივნისის № 365 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 12 ივლისის № 817 განკარგულების საფუძველზე.

1.2. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება დამოუკიდებელი ორგანიზაციაა სამეურნეო ანგარიშზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში.

1.3. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება შექმნილია იმ მიზნით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო პოტენციალი რაც შეიძლება ეფექტიანად იქნეს გამოყენებული სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების საქმიანობას საფუძვლად უდევს მისი ინტერესების შეხამება სამინისტროთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, საწარმოთა ინტერესებთან მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების შემდგომი განვითარების მიზნით.

1.4. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების საქმიანობა რეგლამენტირებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით, ამ დებულებით, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს რეკომენდაციებით, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მითითებებით, აგრეთვე სხვა ნორმატიული აქტებით. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება მტკიცედ იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

1.5. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება არის სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-მეთოდიკური და სასწავლო კომპლექსი და თავის საქმიანობას ახორციელებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

1.6. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება არის იურიდიული პირი, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ბანკში.

1.7. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების ძირითადი ფუნქციები ის არის, რომ:

ა) განახორციელოს სამეურნეო ხელშეკრულებათა საწყისებზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები საბუღალტრო აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის, შინასამეურნეო ანგარიშის, პროდუქციის წარმოების დანახარჯების აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების ნორმატიული მეთოდის, სააღრიცხვო-ეკონომიკური და სხვა ინფორმაციის მანქანური დამუშავების სრულყოფისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მათი დანერგვის მიზნით;

ბ) აამაღლოს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საბუღალტრო აღრიცხვის, კონტროლისა და სხვა ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების ბუღალტერთა კვალიფიკაცია აღრიცხვის, ეკონომიკური ანალიზის, ოპერატიული მართვისა და მეურნეობის გაძღოლის დარგში მეცნიერული მიღწევების ფართოდ გავრცელების, აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების აღზრდისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობის მიზნით;

გ) უზრუნველყოს საბაზო საწარმოებსა და გაერთიანებებში, დაწესებულებებში, სამინისტროებსა და უწყებებში სტუდენტთა წინასადიპლომო პრაქტიკის, მათი სტაჟირების, პრაქტიკისა და დამრიგებლობის ორგანიზებულად განხორციელება, აგრეთვე კონტროლის გაწევა საბუღალტრო აღრიცხვის ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოყენებისადმი;

დ) კოორდინაცია გაუწიოს საბუღალტრო აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის დარგთაშორისსა და უმაღლესსასწავლებელთაშორისს სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდიკურ გამოკვლევებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ განხილვისა და განმტკიცების შემდეგ;

ე) უზრუნველყოს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების, კონტროლის, ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავების და ოპერატიული მართვის თემებზე საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ განხილული და რეკომენდებული დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების, ლექციათა კურსების, შრომათა კრებულების, მონოგრაფიების, სამუშაო პროექტების, ამოცანათა კრებულების, მეთოდიკური მითითებებისა და სხვა სამეცნიერო-სასწავლო მასალების მომზადება და გამოშვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1.8. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების შემადგენლობაში შედიან, სამმართველო ადმინისტრაციის გარდა, აღრიცხვისა და კონტროლის, ეკონომიკური ანალიზის, შინასამეურნეო ანგარიშის, პროდუქციის წარმოების დანახარჯების აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების ნორმატიული მეთოდის, აღრიცხვის კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ტექნოლოგიური, საინფორმაციო-საკოორდინაციო და სხვა განყოფილებები, რომლებიც შეიქმნება საჭიროების კვალობაზე, აგრეთვე სასოფლო საბჭოების ბუღალტერთა, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის საწარმოებისა და ორგანიზაციების ბუღალტერთა, საუწყებო კონტროლიორთა და ეკონომიკური სამსახურების სხვა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

1.9. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— განავითაროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სრულყოფისათვის პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის მიზნით;

— განამტკიცოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანული ერთიანობა;

— გადაწყვიტოს დარგთაშორისი და უმაღლესსასწავლებელთაშორისი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-მეთოდოლოგიური რეგიონალური პრობლემები;

— კონტროლი გაუწიოს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების, მეცნიერების მიღწევების დანერგვას წარმოებაში და განაზოგადოს შედეგები.

1.10. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფენ აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების უფლებათა დაცვას და კონტროლს გაუწევენ მის საქმიანობას და მისთვის მინიჭებული უფლებების სწორად გამოყენებას.

II. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

2.1. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ხორციელდება სამინისტროებთან, უწყებებთან, გაერთიანებებთან, საწარმოებთან, აგრეთვე ცალკეულ ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე და შესაბამისად.

2.2. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება დადებს ხელშეკრულებებს შემდეგ თემებზე:

— აღრიცხვის ცენტრალიზაცია და ცენტრალიზებული ბუღალტერიების: ჯგუფური, დარგობრივი, დარგთაშორისი, საუწყებო, ტერიტორიული (საქალაქო, რაიონული და ა. შ.) და სხვა ბუღალტერიების ორგანიზაცია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პროდუქციის წარმოების დანახარჯების აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების ნორმატიული მეთოდის შემუშავება და დანერგვა დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;

— აღრიცხვის ცალკეული უბნების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვა, კონტროლის განხორციელება არსებული მანქანათ-საანგარიშო დანადგარების გამოყენებისადმი;

— წინასწარი, მიმდინარე და მომდევნო კონტროლის ფორმების სრულყოფის მეთოდების შემუშავება;

— ყოველი ცალკეული საწარმოს, სამინისტროს, ობიექტისა და რეგიონის, ყოველი ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის ანალიზის განხორციელება და ღონისძიებათა შემუშავება მათი მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის;

— ანგარიშწარმოების პერფობარათული ფორმის შემუშავება;

— საწარმოთა შინასამეურნეო ანგარიშის დანერგვა;

— აღრიცხვის სრულყოფა ჯგუფებისა და ერთგვაროვანი საწარმოებისათვის კომპლექსური მექანიზაციის პირობებში და მისი საცდელი დანერგვა;

— საბუღალტრო აღრიცხვის ამოცანების შემუშავება მათი მანქანურ დამუშავებაზე გადასაყვანად;

— სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის ავტომატიზაციის პროგრამებისა და სამუშაო პროექტების მომზადება;

— რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ოპერატიულ მართვაში, საბუღალტრო აღრიცხვაში, კონტროლსა და ეკონომიკურ ანალიზში ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენების ამოცანების შემუშავება;

— ანგარიშწარმოების საჟურნალო-საორდერო ფორმის დანერგვა;

— მასალების აღრიცხვის ოპერატიულ-ბუღალტრული (სალდოს) მეთოდის დანერგვა;

— აღრიცხვის პროგრესული ფორმების დანერგვა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში;

— წარმოების პირველადი აღრიცხვის სრულყოფა, აგრეთვე საბუღალტრო აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სხვა საკითხებზე.

2.3. სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას განახორციელებენ ძირითადად აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება საკუთარი ძალებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი, ასპირანტები და სტუდენტები, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მაღალკვალიფიციური მუშაკები, რომლებიც მიწვეულ იქნებიან სამუშაოდ შეთავსებით ძირითადი სამუშაო ადგილის ადმინისტრაციის თანხმობით; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშაკები მიწვეულ იქნებიან მხოლოდ იმ პირობით, თუ წარმატებით შესრულდება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმით გათვალისწინებული საბიუჯეტო სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.4. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება ყოველმხრივ განავითარებს მუშაობას სამეურნეო აღრიცხვის ოპერატიული მართვის სრულყოფისათვის და განახორციელებს ფუნდამენტურ გამოკვლევებს კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის საკითხებზე.

2.5. რესპუბლიკური მნიშვნელობის რეგიონალურ პრობლემათა შესწავლისა და გადაწყვეტის და სამეურნეო აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის მეცნიერების კონცენტრაციის გაძლიერების მიზნით აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება განახორციელებს დარგთაშორისი და უმაღლესსასწავლებელთაშორისი საკოორდინაციო ცენტრის ფუნქციებს, რისთვისაც:

— დაამყარებს ყოველმხრივ კონტაქტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკურ ფაკულტეტთან, ამ ფაკულტეტისა და რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებთან;

— მოაწყობს დადგენილი წესით სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებსა და შეხვედრებს;

— გამოაქვეყნებს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს რეკომენდაციით და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით ყველაზე მნიშვნელოვან სამეცნიერო მოხსენებებსა და ნაშრომებს თეზისებისა და კრებულების სახით;

— შეკრებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისაგან (ან მათი ქვედანაყოფებისაგან) ინფორმაციას საბუღალტრო აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის დარგში სამეცნიერო საქმიანობის შედეგების შესახებ. გააანალიზებს და განაზოგადებს ამ მონაცემებს, გასცემს დასკვნებს და წარუდგენს განსახილველად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიურ საბჭოს;

— გაუწევს სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს (ან მათს ქვედანაყოფებს), აგრეთვე ცალკეულ მეცნიერ და პრაქტიკოს მუშაკებს, ასპირანტებსა და სტუდენტებს მეთოდოლოგიურ დახმარებას აქტუალური თემების შერჩევისა და დამუშავების საქმეში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ინტერესების გათვალისწინებით;

— ყოველმხრივ გააფართოებს კონტაქტებს და განამტკიცებს კოორდინაციას მოკავშირე რესპუბლიკებისა და სოციალისტური ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან და დაწესებულებებთან დადგენილი წესით ამ დარგში მეცნიერული ცოდნის შეძენისა და გამოყენების მიზნით.

2.6. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება განახორციელებს მუშაობას აღრიცხვის, კონტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისა და ეკონომიკური ანალიზის საკითხებზე სამეცნიერო, საწარმოო და სასწავლო ინფორმაციის შესაგროვებლად, რისთვისაც:

— შეკრებს მონათესავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და გაერთიანებებისაგან სამეცნიერო ინფორმაციას აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის საკითხებზე როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე მიიღებს და განაზოგადებს შესაბამის საზღვარგარეთულ გამოცდილებას ამ დარგში;

— დააგროვებს საწარმოო ხასიათის ინფორმაციას რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, სამინისტროებისაგან, უწყებებისა და საწარმოებისაგან მიღებული საბუღალტრო, სტატისტიკური და ოპერატიულ-ტექნიკური აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე;

— შეკრებს, სისტემაში მოიყვანს და დაამუშავებს სასწავლო-მეთოდიკურ მასალებს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის მუშაკთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე;

— პრაქტიკაში შემოიღებს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის თემებზე გამოცდილების გაზიარებასა და ინფორმაციის გაცვლას მოკავშირე რესპუბლიკებთან და საზღვარგარეთის ქვეყნებთან;

— მიიღებს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის, აგრეთვე პროდუქციის წარმოების დანახარჯების აღრიცხვისა და თვითღირებულების კალკულირების ინსტრუქციებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს, რომლებსაც გამოსცემენ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტი;

— მოაწყობს საპატენტო-სალიცენზიო მუშაობას სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დონისა და ეფექტიანობის ამაღლების და საკუთარი ძალებით შემუშავებული გამოგონებებისა და აღმოჩენების დარგში პრიორიტეტის დაცვის მიზნით.

III. სასწავლო-მეთოდური მუშაობა

3.1. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება უზრუნველყოფს ღონისძიებათა განხორციელებას:

— რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის, კონტროლისა და სხვა ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

— საბაზო ობიექტებზე სტუდენტთა წინასადიპლომო პრაქტიკის გასავლელად;

3.2. სააღრიცხვო-ეკონომიკური და საკონტროლო-სარევიზიო სამსახურების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების სტრუქტურული ქვედანაყოფია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.3. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება უზრუნველყოფს აღრიცხვის, კონტროლისა და სხვა ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას სამინისტროებთან, უწყებებთან, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე.

3.4. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მიზანია აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის საკითხებზე მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის დაჩქარების ღონისძიებათა უზრუნველყოფა.

3.5. სააღრიცხვო-ეკონომიკური სამსახურების მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს ეკისრება შემდეგი ძირითადი ამოცანები:

— უზრუნველყოს მსმენელთა მიერ კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის, მუშაობის ლენინური სტილის, წარმოების დაგეგმვისა და მართვის თანამედროვე მეთოდების სისტემატური და ღრმა შესწავლა;

— სისტემატურად განაახლოს და გაამდიდროს ლექციების, სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობების შინაარსი საბჭოთა და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა შედეგებით;

— აამაღლოს სასწავლო პროცესის ეფექტიანობა თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის, სწავლების მოწინავე მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების დანერგვის საფუძველზე, რაც ხელს უწყობს მსმენელებში შრომის ნაყოფიერების გადიდების ახალი გზების ძიებისადმი მისწრაფების, კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობის ჩვევების, ადამიანთა მუშაობის უნარის, ეკონომიკური, საწარმოო და სპეციალური ამოცანების გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას;

— უზრუნველყოს სტუდენტთა მომზადებისა და კურსების მსმენელთა პრაქტიკული სწავლების გასაუმჯობესებლად საბაზო საწარმოების, სანიმუშო აღრიცხვის მქონე საწარმოებისა და მოწინავე ცენტრალიზებული ბუღალტერიების გამოყენება;

— აქტიური ზემოქმედება მოახდინოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ სადიპლომო თემების შერჩევასა და წარმატებით დამთავრებაზე;

— შეიმუშაოს და დანერგოს სტუდენტთა და სპეციალური კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელთა სწავლების მეთოდიკური, დამხმარე და სხვა თვალსაჩინო საშუალებანი აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის დარგში.

3.6. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების საქმიანობა ხორციელდება აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული, შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და ცალკეულ საწარმოებთან შეთანხმებული და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ მოწონებული მსმენელთა სწავლების გეგმების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3.7. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მსმენელებს გამოიძახებს და ჩარიცხავს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დირექცია.

3.8. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელები, რომლებმაც შეასრულეს სასწავლო გეგმისა და პროგრამების ყველა მოთხოვნა, ჩააბარეს ყველა ჩათვლა და გამოცდა, აგრეთვე დაიცვეს სადიპლომო ნაშრომი, მიიღებენ დაწესებული ნიმუშის მოწმობას.

3.9. სასწავლო გეგმის შეუსრულებლობისა და დადგენილი წესების დარღვევისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელი აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დირექტორის ბრძანებით შეიძლება გაირიცხოს, ამასთან მიეცეს შესაბამისი ცნობა კურსებზე ყოფნის შესახებ, და შემდგომ ამის შესახებ ეცნობოს მის სამუშაო ადგილს.

3.10. სასწავლო მუშაობა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ხორციელდება სამუშაოსაგან მოწყვეტით 1 თვემდე სწავლების ვადით, ხოლო სამუშაოსაგან მოუწყვეტლივ —3 თვემდე ვადით. კურსებზე კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მინიმალური სასწავლო გეგმა უნდა განისაზღვროს 100 საათით.

3.11. კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე გათვალისწინებულია მსმენელთა მეცადინეობისა და მათი ცოდნის კონტროლის შემდეგი სახეობანი: ლექციები, ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობანი, სემინარები, კონსულტაციები, მსმენელთა დამოუკიდებელი მეცადინეობანი, მოწინავე საწარმოთა და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილების შესწავლა, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარება, რეფერატების, პროექტებისა და სხვა ნამუშევრების დაცვა.

3.12. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა გამოიანგარიშება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

IV. საგამომცემლო მუშაობა

4.1. მეცნიერების მიღწევათა ფართოდ გავრცელების და პრაქტიკასა და სასწავლო პროცესში დანერგვის დაჩქარების მიზნით, აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოების, ლექციათა კურსების, სამეცნიერო შრომათა კრებულების, მონოგრაფიების, სამუშაო პროექტების, ამოცანათა კრებულების მომზადებასა და გამოშვებას სამეურნეო აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის, აგრეთვე სააღრიცხვო-ეკონომიკური ინფორმაციის მანქანური დამუშავების სრულყოფის და სხვა საკითხებზე.

4.2. საგამომცემლო მუშაობა დაიგეგმება ცალკეულ სამინისტროთა, უწყებათა, გაერთიანებათა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა შეკვეთების საფუძველზე.

4.3. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება დაუდებს ხელშეკრულებას ავტორებს, მთარგმნელებს, რედაქტორებს და გადაუხდის ჰონორარს დადგენილი წესით.

4.4. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს მიერ განხილული, რედაქტირებული და რეცენზირებული ნაშრომები წარედგინება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიურ საბჭოს გამოსაცემად რეკომენდაციისათვის.

4.5. რეკომენდებულ ნაშრომებს გამოსცემენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების შეკვეთების მიხედვით.

V. დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

5.1. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დაფინანსების წყაროებია:

— სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის განკუთვნილი სამეურნეო-სახელშეკრულებო სახსრები;

კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელთა სწავლებისათვის სამინისტროებისა და უწყებებისაგან შემოსული სახსრები;

— გამოცემული პროდუქციის რეალიზაციისაგან შემოსული სახსრები;

— პერსპექტიულ პრობლემებზე ფუნდამენტურ და საძიებო გამოკვლევათა განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსული სახსრები.

5.2. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანებაში შეიქმნება ძირითადი საქმიანობის ჭარბი შემოსავლით მიღებული მოგება, რომლის 75 პროცენტი დარჩება მის განკარგულებაში.

5.3. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანებაში შეიქმნება შემდეგი ფონდები:

— წარმოების განვითარების ფონდი;

— სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოთა ხარისხიანად და ვადამდე შესრულებისათვის პრემირების ფონდი;

— მატერიალური წახალისების ფონდი;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი.

აღნიშნული ფონდები შეიქმნება აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების საქმიანობისაგან მიღებული მოგების ხარჯზე.

ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს განსაზღვრავს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5.4. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა თანამდებობრივი სარგოები დაწესდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მუშაკთა ანაზღაურების შესაბამისი კატეგორიების მიხედვით.

5.5. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა განხორციელდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეშვეობით.

5.6. წარმოებისაგან მოწყვეტით კვალიფიკაციის ამაღლების დროს კურსების მსმენელებს შეუნარჩუნდებათ საშუალო ხელფასი და მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესით.

5.7. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელებს სწავლის დროს საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

5.8. კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შენახვისა და მსმენელთა სწავლის ხარჯებს გაიღებენ ის ორგანიზაციები, რომლებმაც მსმენელები გამოგზავნეს. სწავლის ადგილამდე და უკან მსმენელთა მგზავრობის ღირებულებასა და გზაში ყოფნის დროისათვის დღიურებს აანაზღაურებენ ის დაწესებულებები და საწარმოები, რომლებშიც ისინი მუშაობენ.

5.9. სამინისტროები, უწყებები და დაწესებულებები გადაურიცხავენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს მთელ კუთვნილ თანხას მეცადინეობის დაწყებამდე ერთი თვით ადრე. კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნილ მსმენელთა გამოუცხადებლობის ან გარიცხვის შემთხვევაში შემოსული სახსრები მათ არ დაუბრუნდებათ.

5.10. საბუღალტრო აღრიცხვას განახორციელებს გაერთიანების უფროსი ბუღალტერი (მთავარი ბუღალტრის უფლებებით) სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დადგენილი წესით, და ანგარიშგება წარედგინება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

5.11. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანებას აქვს ძირითადი და საბრუნავი სახსრები და პასუხს აგებს მათი დაცვა-შენარჩუნებისათვის.

5.12. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანება სარგებლობს სსრ კავშირის სახბანკისა და სსრ კავშირის მშენბანკის დაწესებულებათა კრედიტებით.

VI. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მართვა

6.1. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანებას სათავეში უდგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წარდგენითა და საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს რეკომენდაციით.

6.2. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დირექტორის მოადგილეებს ნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გაერთიანების დირექტორის წარდგენით.

6.3. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მუშაკთა ფუნქციონალური თანამდებობრივი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დირექტორის მიერ დამტკიცებული გრძელვადიანი ინსტრუქციებით.

6.4. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო განიხილავს, დაამტკიცებს და წარუდგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა განყოფილებას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიურ საბჭოსთან შეთანხმებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა პერსპექტიულ (ხუთწლიან) და მიმდინარე (წლიურ) გეგმებს.

6.5. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მიერ სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მუშაობის განსახორციელებლად ხელშეკრულებებს დადებს დირექტორი გაერთიანებისა, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 2 ივნისის № 365 დადგენილებისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 12 ივლისის № 817 განკარგულების საფუძველზე.

6.6. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა მეცნიერ ხელმძღვანელებს დაამტკიცებს გაერთიანების დირექტორი აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების ყველაზე კვალიფიციურ მუშაკთაგან, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა და დოცენტთაგან.

6.7. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დირექტორი პასუხისმგებელია გაერთიანების მიერ სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის და უფლება აქვს განაგოს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მთელი სახსრები და ფონდები.

6.8. მიმდინარე და პერსპექტიულ საკითხთა კოლეგიურად გადაწყვეტისათვის აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანებაში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო დირექტორის მეთაურობით. საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დირექტორის წარდგენით. სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობაში შედიან: დირექტორის მოადგილეები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტეტის, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების მუშაკები და სხვ.

6.9. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანებას აქვს ბლანკი, შტამპი და გერბიანი ბეჭედი, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

6.10. სამეცნიერო და სასწავლო პროცესის კოორდინაციისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებთან შეიქმნება მეთოდიკური საბჭო, რომლის შემადგენლობას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ დაამტკიცებს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების დირექტორი.

VII. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

7.1. აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნიერო-სასწავლო გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

---

17 „სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების მე-18 პუნქტის მოქმედების თევზის მეურნეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებზე (ორგანიზაციებზე) გავრცელების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების ცნობად და სახელმძღვანელოდ მიღების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 29 იანვრის № 105 დადგენილება „სოფლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) ზოგადი დებულების მე-18 პუნქტის მოქმედების თევზის მეურნეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებზე (ორგანიზაციებზე) გავრცელების შესახებ“, რომლის თანახმადაც მიღებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადება, შეთანხმებული სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სამინისტროსთან, იმის შესახებ, რომ თევზის მეურნეობის სამეურნეობათაშორისო საწარმოებზე (ორგანიზაციებზე) გავრცელდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 14 აპრილის № 291 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრებ., 1977 წ., № 13, მუხ. 80) დამტკიცებული სოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მეურნეობაში სამეურნეობათაშორისო საწარმოს (ორგანიზაციის) შექმნის დებულების მე-18 პუნქტის მოქმედება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჭითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 8 თებერვალი, № 91

18 **„საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 8 აპრილის № 175 დადგენილებაში დამატებათა შეტანის თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 8 აპრილის № 175 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო სავაჭრო ქსელში ნაყიდი სამრეწველო საქონლის გამოცვლის წესების 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვების: „ფერადი ტელევიზორები“ დაემატოს სიტყვები: „ვიდეომაგნიტოფონები, ვიდეომისადგამები, ვიდეოკამერები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 14 თებერვალი, № 105

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1007 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მუშათა და მოსამსახურეთა შრომის რეგულირების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 დეკემბრის № 1007 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— „ბრუნვის გადასახადის დარიცხვისა და გადახდევინების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 3 ივნისის № 527 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

— „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო ჯანდაცვის განყოფილების და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) ჯანდაცვის განყოფილებათა შტატებში მთავარი თერაპევტის, მთავარი ქირურგისა და მთავარი მეან-გინეკოლოგის თანამდებობათა შემოღების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 26 ივლისის № 885 დადგენილების მე-2 პუნქტი;

— „ტომრების გამოყენების, დაბრუნებისა და შენახვის საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 აგვისტოს № 924 დადგენილების მე-7 პუნქტი;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 4 ოქტომბრის № 1312 დადგენილება „ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში ავეჯის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 15 თებერვალი, № 109

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების სამმართველოს შუამდგომლობა და, როგორც გამონაკლისი, დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 5 ოქტომბრის № 610 დადგენილებით დამტკიცებულ იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სიას, რომელთა სახლებიდან შეიძლება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება, თუ მათ შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა პირადი სურვილით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნასთან ანდა დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით, შემდეგი პუნქტი:

„106. სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების სამმართველოს სამხედრო-სამშენებლო განყოფილების სამშენებლო-სასაწყობო ბაზის საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 15 თებერვალი, № 110

21 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო მეურნეობის სამმართველოს სპეციალიზებულ ტრესტთან საცხოვრებელი სახლების ფასადების სარემონტო და სარესტავრაციო სამმართველოს შექმნის შესახებ

ამონაკრები

საცხოვრებელი სახლების გარეგნული სახის გაუმჯობესების, მათი ფასადების წესრიგში მოყვანის, აგრეთვე მობინადრეთა მიერ საცხოვრებელი სახლების ლოჯიებისა და აივნების თვითნებური შემინვის და გადაკეთების ფაქტების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თხოვნა და ნება დაერთოს მას შექმნას აღნიშნული აღმასკომის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბინაო მეურნეობის სამმართველოს სპეციალიზებულ ტრესტთან ფასადების სარემონტო და სარესტავრაციო სამმართველო.

2. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ფასადების სარემონტო და სარესტავრაციო სამმართველოს შტატები განსაზღვროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 821 დადგენილებით დამტკიცებული ტიპობრივი შტატებისა და საშტატო ნორმატივების შესაბამისად და დაამტკიცოს ისინი, ამასთან წინასწარ შეუთანხმოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოუყონ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებანი ფასადების სარემონტო და სარესტავრაციო სამმართველოსათვის.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა წარმოადგინოს წინადადება იმის შესახებ, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს შესაბამისად გაუდიდდეს ხელფასის ფონდი აღმასკომის გაანგარიშებისა და განაცხადის მიხედვით.

9. დაწესდეს, რომ საცხოვრებელი სახლების ფასადების განახლების ან რეკონსტრუქციის სამუშაოები ხორციელდება იმ ასიგნებათა ხარჯზე, რომლებიც ყოველწლიურად დამატებით გამოეყოფა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს კაპიტალური რემონტისათვის.

10. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაამტკიცოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების შემდეგ საცხოვრებელი სახლების ფასადების განახლებისა და რეკონსტრუქციის სამუშაოთა წლიური მოცულობანი საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

11. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების ქუთაისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ საცხოვრებელი სახლების ფასადების განახლების ან რეკონსტრუქციის შესაბამის ქვედანაყოფთა შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი და თავიანთი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთი თვის ვადაში.

12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 იანვრის № 22 დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებში საცხოვრებელი სახლების გარეგნული სახის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1979 წ. 20 თებერვალი, № 114

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების ყოველწლიური კონკურსების ჩატარების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის ხარისხი და სამშენებლო, საპროექტო ორგანიზაციები, აგრეთვე ცალკეული მშენებლები და პროექტების ავტორები წახალისებულ იქნენ შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის ამაღლებისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს ჩაატაროს ყოველწლიურად საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების კონკურსი.

2. დაწესდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობებისათვის შემდეგი პრემიები:

ა) საცხოვრებელი სახლებისა და საცხოვრებელი სახლების კომპლექსებისათვის:

ერთი პირველი პრემია — 2 ათასი მანეთი;
ერთი მეორე პრემია — 1,5 ათასი მანეთი;
ორი მესამე პრემია — 1-1 ათასი მანეთი;

ბ) კინოთეატრების, საავადმყოფოების, სკოლების, საბავშვო დაწესებულებების, სანატორიუმების, კულტურის სახლების, კლუბების, ადმინისტრაციული შენობების, ინსტიტუტებისა და სხვა სამოქალაქო შენობებისათვის:

ერთი პირველი პრემია — 2 ათასი მანეთი;
ერთი მეორე პრემია — 1,5 ათასი მანეთი;
ერთი მესამე პრემია — 1 ათასი მანეთი.

3. პრემიების მინიჭებასთან ერთად სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციათა კოლექტივები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ სახმშენის საპატიო სიგელით.

4. საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების კონკურსის მასალების განსახილველად საქართველოს სსრ სახმშენმა ყოველწლიურად შექმნას შესაბამისი ჟიური.

5. იმ ობიექტებზე, რომლებმაც კონკურსში პირველი პრემია მიიღეს, აგრეთვე უნიკალურ ან ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებზე, რომელთა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულებულია ჩინებული ხარისხით, კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით მოეწყოს ფასადის კედელზე სამახსოვრო დაფები, რომლებზეც აღინიშნოს სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებას, აგრეთვე მშენებლებისა და პროექტის ავტორების დასახელებანი.

6. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ სახმშენმა, მოყოლებული 1979 წლიდან, ყოველწლიურად გაითვალისწინონ საქართველოს სსრ სახმშენის ხარჯთაღრიცხვაში საჭირო თანხები საქართველოს სსრ ტერიტორიაზე აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობა-ნაგებობების კონკურსის ჩასატარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. დამტკიცდეს თანდართული კონკურსის პირობები და დებულება საძანსოვრო დაფების მოწყობის შესახებ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 18 ივნისის № 371 დადგენილება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 2 სექტემბრის № 1262 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ზ. პატარიძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი 1979 წ. 22 თებერვალი № 118

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 22 თებერვლის № 118 დადგენილებით

პ ი რ ო ბ ე ბ ი

საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების ყოველწლიური კონკურსებისა

1. საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების კონკურსს ყოველწლიურად ჩაატარებს საქართველოს სსრ სახმშენი.

2. კონკურსმა უნდა ასახოს მშენებელთა და დამპროექტებელთა მიღწევები მოხერხებული, ეკონომიური და ლამაზი საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების აგების საქმეში ახალი ტექნიკის, სამუშაოთა წარმოების მოწინავე ხერხებისა და წესების გამოყენების, მშენებლობის ხანგრძლივობის ვადების შემცირების, აგრეთვე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციის დონის ამაღლების გზით.

3. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა ორგანიზაციასა და უწყებას, რომლებიც ახორციელებენ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

4. საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების საუკეთესოდ აგებული ცალკეული შენობებისათვის, აგრეთვე კომპლექსური განაშენიანებისათვის (კვარტალები, მოედნები, ქუჩები, დაბები დამთავრებული კეთილმოწყობისა და გამწვანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით) მშენებლობათა უფროსებსა და მთავარ ინჟინრებს, სამუშაოთა მწარმოებლებს, ათისთავებს, ოსტატებს, ბრიგადირებს, მუშებს, აგრეთვე მშენებლობის განხორციელებაში მონაწილეობის მიხედვით — საპროექტო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის მუშაკებს მიეცემათ ფულადი პრემიები და საქართველოს სსრ სახმშენის საპატიო სიგელები.

5. იმ ობიექტებზე, რომელთაც მიეკუთვნებათ პირველი პრემია, შენობის ფასადის კედლის თვალსაჩინო ადგილზე მოეწყობა სამახსოვრო დაფები, რომლებზეც აღინიშნება სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების, აგრეთვე მშენებელთა და პროექტის ავტორთა დასახელებანი.

6. კონკურსის მასალები წარედგინებათ მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა შესაბამის განყოფილებებს იქ, სადაც შექმნილია ისინი, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში გაეგზავნება უშუალოდ საქართველოს სსრ სახმშენს კონკურსის ჟიურის სახელზე.

კონკურსის მონაწილეებმა დაწესებული ვადისათვის უნდა წარადგინონ შემდეგი მასალები:

ა) შენობების (ან შენობათა კომპლექსების) კარგად შესრულებული ფოტოსურათები, რაც შენობის საერთო სახის, მისი ინტერიერების, დეტალების, უბნების, კვარტალების, მოედნების, ქუჩებისა და დაბების კეთილმოწყობის ნათლად წარმოდგენის საშუალებას იძლევა;

ბ) ცალკეული შენობების პროექტები ან პროექტების ფოტოასლები, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა მშენებლობა (ძირითადი გეგმები, ფასადები, ჭრილები, ფრაგმენტები), ტერიტორიის განაშენიანებისა და კეთილმოწყობის გენერალური გეგმები მშენებლობადამთავრებული ობიექტების აღნიშვნით;

გ) ახსნა-განმარტებითი ბარათი გამოყენებული პროექტებისა და აგებული შენობების (ან შენობათა კომპლექსების) ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით, მშენებლობის ხანგრძლივობის ვადების აღნიშვნით.

ახსნა-განმარტებითს ბარათში აღწერილი უნდა იყოს მშენებლობაში გამოყენებული სამუშაოთა ორგანიზაციის ინდუსტრიული მეთოდები, რაციონალიზატორული წინადადებანი, მშენებლობაში გამოყენებული ახალი მასალები და კონსტრუქციები, მშენებლობის დაჩქარებისა და მისი ღირებულების შემცირების მეთოდები, მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების პროგრესული ფაქტორები;

დ) ცნობები თანდართული ფორმის მიხედვით.

7. საქართველოს სსრ სახმშენის ადგილობრივ ორგანოებში გასასინჯად შემოსული მასალები გამოფენილ უნდა იქნეს საზოგადოებრივი განხილვისათვის.

8. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში, გორსა და რუსთავში შეიქმნება გამსინჯველი კომისიები, რომლებმაც უნდა მისცენ დასკვნა თითოეულ წარდგენილ შენობას (ან შენობათა კომპლექსს) მშენებლობის დადებითი და უარყოფითი მაჩვენებლების შეფასებით, მისი ღირებულების, კეთილმოწყობისა და მშენებლობის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახმშენის ადგილობრივ ორგანოებში შემოსული ეროვნული კურსის მთელი მასალები თითოეული ობიექტის მიხედვით გამსინჯველი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინება საქართველოს სსრ სახმშენს კონკურსის ჟიურის სახელზე.

9. საზოგადოებრიობის აზრისა და სურვილის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში მოეწყობა საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალების გამოფენა.

10. საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალები მონაწილეებს არ დაუბრუნდებათ.

11. საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, კურორტებზე და მუშათა დაბებში აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების რესპუბლიკური კონკურსის ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად დამტკიცდება საქართველოს სსრ სახმშენის ბრძანებით.

შენიშვნა: თითოეული ფოტოსურათი წარმოდგენილ უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად (ზომა არანაკლებ 18×24 სმ), უკანა მხარეს უნდა აღინიშნოს ობიექტის დასახელება და მშენებლობის ადგილი (ფოტოსურათები წარმოდგენილ უნდა იქნეს ცალკე ეგზემპლარებად, და არა ალბომებში ან სტენდებზე).

„პირობების“ დანართი

ცნობები

———————— წელს საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და კურორტებზე აშენებული საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების კონკურსზე წარდგენილი ობიექტის შესახებ

1. ქალაქი და ოლქი (ავტონომიური რესპუბლიკა)
2. მშენებლობის მისამართი (რაიონი, კვარტალი, ქუჩა, სახლის №).
3. ობიექტის დასახელება (საცხოვრებელი სახლის ბინების რაოდენობა, საბავშვო ბაღი ———— ბავშვისათვის, ———— ადგილიანი კლუბი და ა. შ.)
4. სართულიანობა
5. ამშენებელი (სამინისტრო, საწარმო)
6. საპროექტო ორგანიზაცია
7. ცალკეული შენობების, კომპლექსური განაშენიანების ტიპობრივი, განმეორებითი ან ინდივიდუალური პროექტის ავტორი (არქიტექტორის, ინჟინერ-კონსტრუქტორისა და ინჟინერ-სანტექნიკოსის გვარი, სახელი და მამის სახელი)
8. ტიპობრივი პროექტის სერია
9. სამშენებლო ორგანიზაცია (სამინისტრო, ტრესტი, სამმართველო)
10. გვარი, სახელი, მამის სახელი (მთლიანად), თანამდებობა იმ პირებისა, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ და განსაკუთრებით გამოიჩინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მშენებლობაში (მშენებლობის უფროსი, მთავარი ინჟინერი, სამუშაოთა მწარმოებელი, ათისთავი, ოსტატი, მუშა და სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის მუშაკები)

11. ცალკეული შენობების (მთლიანად კომპლექსის) მშენებლობის ხანგრძლივობა ნორმით და ფაქტიურად

12. შენობათა კეთილმოწყობის დახასიათება:

გარედან:

გზები, სადარბაზოები, ტროტუარები, ღობეები, საეზოე ნაგებობანი, გამწვანება, მიწისქვეშა კომუნიკაციები და სხვ.

შიგნით:

წყალსარინი, კანალიზაცია, ცხელი წყალმომარაგება, გათბობა, სანიტარიული კვანძები, ელექტროგანათება, გაზმომარაგება, ტელეფონიზაცია, რადიოფიკაცია და სხვ.

13. კედლების, სახურავისა და გადახურვების მასალა

14. საცხოვრებელ შენობათა ტექნიკური მაჩვენებლები:

საცხოვრებელი ბინები	ბინების რაოდენობა	საცხოვრებელი ფართობი (კვ. მ.)			სასარგებლო ფართობი (კვ. მ.)		სამაღლე-ლე (მ)
		ერთი ბინისა	სახლის ყველა ბინისა	სახლის მთელი საცხოვრებელი ფართობის პროცენტულად	ერთი ბინისა	სულ სახლისა	სადგომების შიგა სიმაღ-ლე (მ)
ერთოთახიანი							
ოროთახიანი							
სამოთახიანი							
ოთხოთახიანი							
ს უ ლ:							

15. სამეურნეო საკუჭნაოების არსებობა, მათი რაოდენობა და ფართობი

16. ღირებულება ———— ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ———— ფაქტიურად ————

ა) ობიექტის ღირებულება

ბ) შენობის ერთი კუბური მეტრის ღირებულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ერთი კვადრატული მეტრის საცხოვრებელი ფართობის ღირებულება;

დ) ერთი ადგილის, საწოლის, სამოსწავლო ადგილის ღირებულება და ა. შ.

17. რა პროგრესული მეთოდები არის გამოყენებული მშენებლობის პროცესში

18. შენობის შეფასება სახელმწიფო მიმღები კომისიის მიერ „ფრიადი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“)

შენიშვნები: 1. მე-16 პუნქტისათვის თან უნდა დაერთოს დამფინანსებელი ბანკის ცნობა და გადიდებული ღირებულების შემთხვევაში აღინიშნოს მშენებლობის გაძვირების მიზეზი.

2. მე-18 პუნქტისათვის თან უნდა დაერთოს მიმღები კომისიის აქტის ასლი.

3. ყველა მონაცემი უნდა შეივსოს მანქანით ან მელნით მკაფიოდ, გარკვევით; დამპროექტებელთა და მშენებელთა გვარები, სახელები და მამის სახელები დაიწეროს მთლიანად.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1979 წლის 22 თებერვლის № 118 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და სამოქალაქო შენობებზე სამახსოვრო დაფების მოწყობის შესახებ

§ 1.

სამახსოვრო დაფებს მოაწყობენ სამშენებლო ორგანიზაციები საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში და კურორტებზე აშენებულ საცხოვრებელ სახლებსა და სამოქალაქო შენობებზე, რომლებიც სახელმწიფო მიმღებმა კომისიებმა „ფრიადი“ შეფასებით მიიღეს საექსპლუატაციოდ და რეკომენდებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში აშენებული საუკეთესო საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო შენობების კონკურსის ჟიურის მიერ.

§ 2.

სამახსოვრო დაფები მოეწყობა მთავარ ფასადებზე დასანახად მისაწვდომ ადგილებში, შენობის მთავარი შესასვლელის მარჯვენა მხარეს ტროტუარის დონიდან 1,7-2,2 მეტრ სიმაღლეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 3.

დაფების მოწყობის ზუსტ ადგილს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ სახმშენის ადგილობრივი ორგანოები უშუალოდ ობიექტებზე.

§ 4.

საცხოვრებელი სახლების კომპლექსის მშენებლობისას სამახსოვრო დაფები მოეწყობა ერთ-ერთ სახლზე, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია განაშენიანების კომპლექსში.

§ 5.

სამახსოვრო დაფები დამზადდება სხმული ლითონის (თუჯის ან დიურალუმინის) და გაპრიალებული ბუნებრივი ქვისაგან:

ლითონისა — არა უმეტეს 20 მილიმეტრი სისქის და ქვისა — არანაკლებ 35 მილიმეტრი სისქის.

§ 6.

სამახსოვრო დაფის ზომა, ფორმა, აგრეთვე წარწერები შესრულდება დამტკიცებული ნიმუშის ზუსტი შესაბამისობით.

§ 7.

ლითონის სამახსოვრო დაფებზე წარწერა შესრულდება რელიეფური შრიფტით, ხოლო ქვისაზე კონტრრელიეფური შრიფტით, მოჯავშნული ასოებით.

§ 8.

სამახსოვრო დაფაზე გაკეთდება წარწერა:

აშენდა ——— წელს ———————————————————

(საპროექტო ორგანიზაციის დასახელება)

პროექტის მიხედვით ——————————————————— მიერ.

(სამშენებლო ორგანიზაციის დასახელება)

პროექტის ავტორები

მშენებლობის განმხორციელებელი პირები

§ 9.

თითოეული შენობის სამახსოვრო დაფის წარწერის ტექსტი შეუთანხმდება საქართველოს სსრ სახმშენის ადგილობრივ ორგანოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 10.

საქართველოს სსრ სახმშენის მიერ დამტკიცებული ტექსტის სამახსოვრო დაფაზე სწორად გადატანისადმი კონტროლი ეკისრებათ საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო სამშენებლო ინსპექციასა და მის ადგილობრივ ორგანოებს.

§ 11.

ლითონის სამახსოვრო დაფები კედელზე მჭიდროდ დამაგრდება კოროზიისაგან დაცული ლითონის თავმომრგვალებული ოთხი ანკერით.

§ 12.

სამახსოვრო დაფები მოეწყობა ყოველწლიურად საქართველოს სსრ სახმშენის ბრძანების გამოცემის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 1 1979 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილი დასაბეჭდად 26/VII-79 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საბეჭდი თაბახი 4,5 სააღრიცხვო თაბახი 4,5

შეკვეთა № 724 უე 03948 ტირაჟი 1750

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ბ. 10/119

ეროვნული
ბიბლიოთეკა